სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 2 ნოემბერი 2000 №212 (1234) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ ზენაიშვილი

სტამბოლიდან



ქალებს ისევ გვიქმნენ

დარწმუნებული ვარ, ჭადრაკის მრავალი ქართველი გულშემატკივარი სტამბოლში მიმდინარე მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის მეორე ტურის შედეგების გაცნობისას სინანულით იტყოდა, ჩვენი ქალები ინდოელებს ვეღარ უგებენ და მათგან რას უნდა ველოდეთო და იქვე გაიხსენებენ ორი წლის წინ ელისტაში ვიეტნამთან 0:3 წაგებულ მატჩს.

დავიწყოთ იქიდან, რომ ჭადრაკი სპორტია და სპორტშიც შეიძლება მოხდეს შემთხვევითობაც და სიურპრიზიც.

და მაინც, ეს არაა მთავარი.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

...სოლომონ გულისაშვილი საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების შესახებ.

...ვიქტორია ადამსი, ავლაბარი და დევიდ ბექემის პლაკატი.

...ცოტაც ვიმხიარულოთ.

...პროფესიული კრივის ყველა ჩემპიონი.

...მერაბ რატიშვილი მეორე ოცნების გუნდის თვითმხილველი.

...ავთანდილ გურასაშვილი სიდნეის იგონებს.

ორშაბათიდან ჟურნალი სარბიელი

ფასი 2 ლარი

ჩერქეზოვის აუქციონი, მამალაძის ბრალდება და დემეტრაძის სამართალი

უჩვეულო და სკანდალური იყო სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელი სხდომა. მერვე ტურის „მერან“ — „სიონის“ არბიტრის, კახაბერ მესხის გაპანღურებისთვის 1 500 ლარით დასჯილი და სეზონის ბოლომდე დისკვალიფიცირებული „მერანის“ ტექნიკური დირექტორი ვლადიმერ ჩერქეზოვი სასჯელის შემსუბუქების და სათადარიგოთა სკამზე დაბრუნების სანაცვლოდ 15 000 ლარის გადახდაზეც ყაბულსაა. თუმცა ერთიცაა, კომიტეტის სხვა წევრების პოზიციას არ იზიარებს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დისციპლინარი გოგი დემეტრაძე, რომელმაც ჩერქეზოვს იქით უსაყვედურა, არბიტრი კახაბერ მესხი კარგად უნდა გეჟეჟა, აქაოდა, რა გახდა, ყველა სხდომაზე მესხზე, მის კოლეგა მეშკოვზე და მაგათ უფროს მილჩენკოზე რომ გვიწევს დავა-კამათიო. „მერანის“ ვიცე-პრეზიდენტის ანზორ მამალაძის გუშინვე ნათქვამიც, ეჭვგარეშეა, უპასუხოდ არ დარჩება: — მსაჯი კახა მესხი „კოლხეთის“ ინტერესებს იცავს — მამალაძის სიტყვები, შესაძლოა, ახალი სკანდალის მიზეზიც გახდეს.

იხილეთ მესამე გვერდი

14 ოქტომბრის „მერან“ — „სიონის“ შემდეგ ახალდაშომინებული ვლადიმერ ჩერქეზოვი

გურამ დოლიძაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არსებობს

REUTERS ტურნირიდან

„იუვენტუსი“ — „უდინეზე“ 1:2. ჰოლანდიელი ვან დერ სარი „იუვეს“ დამმარცხებელ და სერია A-ს ახალ ლიდერებს, დუბლის გამტან რობერტო სოსას (შუაში) და რობერტო მუცის შესცქერის

არა ლიგა, არა შესარჩევი, მაგრამ ოთხშაბათი ფეხბურთის გარეშე მაინც არ არსებობს: „იუვენტუსმა“ ლიგაში მარცხს მშობლიურ სერიაში წაგება მიაყოლა, მიუნხენის „ბაიერნი“ გერმანიის თასიდან გაფარდა, „ბარსამ“ ისევ ვერ მოიგო, ჭეცბაიას გოლის მიუხედავად, „ფულვზმა“ ლონდონში მაინც წააგო...

გუშინდელი ანგარიშები
იხილეთ მეორე გვერდზე

იტალია

IV ტური

ატალანტა 3:0 ვერონა
1:0 როსინი (37), 2:0 დ. ძენინი (45), 3:0 ჟენტილა (90)

ბოლონია 2:0 რეჯინა
1:0 ოლივიერი (58), 2:0 ბინოტტო (80)

ფიორენტინა 2:2 ბარი
1:0 რუი კოშტა (30), 1:1 მასინგა (67), 1:2 კასანო (80), 2:2 ნუნუ გომეში (87)
გაძევება: ბელავისტა (89, ბარი)

იუვენტუსი 1:2 უდინეზე
0:1, 0:2 სოსა (23, 68), 1:2 დელ პიერო (77პ)

ლაციო 2:1 ბრეშა
0:1 უბერი (43), 1:1, 2:1 ს. ინძაგი (34პ, 79)

ლეჩე 1:1 ნაპოლი
0:1 ფრუზი (67), 1:1 ვუგრინეცი (74)

ვიჩენცა 1:0 პერუჯა
1:0 კალონი (90პ)

ინტერი 2:0 რომა
1:0 ჰაქან შუქური (18), 2:0 რეკობა (68)

პარმა 2:0 მილანი
1:0, 2:0 მბომა (5, 66)

უდინეზე	4	3	1	0	10:4	10
ატალანტა	4	3	1	0	9:3	10
რომა	4	3	0	1	9:3	9
ბოლონია	4	3	0	1	9:4	9
იუვენტუსი	4	2	1	1	7:5	7
ლაციო	4	2	1	1	7:5	7
ფიორენტინა	4	1	3	0	7:6	6
ინტერი	4	2	0	2	6:6	6
პარმა	4	1	2	1	5:5	5
ვერონა	4	1	2	1	4:5	5
ლეჩე	4	1	2	1	3:6	5
მილანი	4	1	1	2	5:6	4
პერუჯა	4	1	1	2	4:6	4
რეჯინა	4	1	0	3	3:6	3
ვიჩენცა	4	1	0	3	3:7	3
ბრეშა	4	0	2	2	4:7	2
ბარი	4	0	2	2	3:7	2
ნაპოლი	4	0	1.	3	4:11	1

სერია B. IX ტური

კალიარი — პისტოიეზე 0:0; კიეო — ემპოლი 1:0; ჩიტადელა — ტორინო 2:1; კროტონე — სამპდორია 1:1; ჯენოა — კოზენცა 2:1; პესკარა — ანკონა 2:3; სალერნიტანა — პიაჩენცა 3:0; სიენა — ვენეცია 1:3; ტერნანა — მონცა 4:1; ტრევიზო — რავენა 0:0

უკრაინა

გადადებული მატჩი

დინამო 1:0 ვეტალისტი
1:0 დემეტრაძე (90)

ესპანეთი

VIII ტური

ალავესი 0:1 სოსიედადი
0:1 ხაურეგი (55)

ბალაგა 3:1 ოსასუნა
1:0 ზარატე (1), 1:1 სანინო (20), 2:1 დელი ვალდესი (37), 3:1 ედგარი (88)

ბილბაო 1:2 სარაგოსა
0:1 ფმელი (22), 1:1 ხავი გონსალესი (47), 1:2 ლაკრუსი (90+1.ჯ.)

რეალი 0:2 ვალიორკა
0:1 იბაგასა (55), 0:2 კარლოსი (90)

ოვიედო 4:1 რაიო ვალეკანო
0:1 ბოლო (29), 1:1 ტომიჩი (37), 2:1 ოლი (44), 3:1 ივან ანია (63), 4:1 რუბენი (90)
გაძევება: გლაუნინი (85, რაიო ვალეკანო)

ვალიადოლიდი 1:1 ესპანიოლი
0:1 ველამასანი (5), 1:1 ალბერტო (55)
გაძევება: ტამუდო (78, ესპანიოლი)

რასინგი 3:1 ვილიარეალი
1:0 ხაიმე (35), 2:0 პრესიადო (42), 2:1 კანია (52), 3:1 ისმაელი (80)

ვალენსია 1:0 სელტა
1:0 კარეუ (66)

ბარსელონა 1:1 ნუმანსია
1:0 რივალდო (48პ), 1:1 რუბენ ნავარო (89)

ვალენსია	8	6	1	1	18:5	19
დეპორტივო	8	5	2	1	15:6	17
რეალი	8	4	2	2	16:10	14
ალავესი	8	4	2	2	10:5	14
ბარსელონა	8	4	1	3	15:10	13
სელტა	8	4	1	3	11:10	13
რაიო ვალეკანო	8	3	3	2	15:9	12
ოვიედო	8	3	2	3	11:9	11
მალაგა	8	3	2	3	13:13	11
მალიორკა	8	3	2	3	9:10	11
ლას პალმასი	8	3	2	3	11:17	11
ვალიადოლიდი	8	1	6	1	7:6	9
ვილიარეალი	8	2	3	3	6:11	9
ესპანიოლი	8	2	2	4	7:8	8
რასინგი	8	2	2	4	12:15	8
ნუმანსია	8	2	2	4	8:13	8
ბილბაო	8	2	2	4	7:13	8
სოსიედადი	8	2	2	4	9:22	8
სარაგოსა	8	1	4	3	7:9	7
ოსასუნა	8	1	3	4	7:13	6

II დივიზიონი. X ტური

ეიბარი — ბეტისი 0:0; ლეგანესი — სეტაფე 2:3; ზარაგოსადი — ატლეტიკო 2:1; კორდობა — ელჩე 0:1; ესტრემადურა — ფეროლი 1:0; სალამანკა — ხაენი 1:0; სევილია — უელვა 0:0; ალბასეტე — სპორტინგი 3:1; მურსია — კომპოსტელა 2:0; ლეიდა — ლეგანტე 3:3; ტენერიფე — ბადახოსი 3:0

ჰოლანდია

XI ტური

ჰერენვეენი 1:1 სპარტა
1:0 ლურსენი (25), 1:1 ლანგერაკი (80)

ნაიმეგენი 2:1 გრაავშსაპი
1:0 აჯი (54), 2:0 ხრისტოვი (67), 2:1 მეურდენი (88)

პსვ ეინდჰოვენი 2:0 ვიტესი
1:0, 2:0 კოლეა (10, 90)

ვალვაიკი 4:1 უტრეხტი
1:0 ნასიფენტუ (26), 2:0 ბუენდორეი (38), 3:0 ბეტროვიჩი (56), 3:1 კეიტი (62), 4:1 კალეზიჩი (85)

როდა 1:0 სიტარდი
1:0 ვრედე (40)

ბელგია

გადადებული მატჩი

ანტვერპენი 1:0 გენკი
1:0 ლეკუ (89პ)

საბერძნეთი

გადადებული მატჩი

არისი 4:0 პაოკ

ავსტრია

XVII ტური

ადმირა — ლინცერი 2:2; გრაცერი — ბრეგენცი 2:0; აუსტრია — რაპიდი 3:2; რიდი — ზალცბურგი 1:1; ტიროლი — შტურმი 3:0

შვეიცარია

XVII ტური

არაუ — სიონი 1:1; სერვეტი — გრასჰოპერი 3:1; ივერდონი — ლუცერნი 3:1

ინგლისი

ლიგის თასის მეთექვსმეტედფინალი

არსენალი — ოფსეიჩი 1:2; ასტონ ვილა — მანჩესტერ სიტი 0:1; დერბი ქაუნთი — ნორვიჩი 3:0; ფულჰემი — ვულვერჰემპტონ 3:2; ლესტერი — კრისტალ პალასი 0:3; ნიუკასლი — ბრედფორდი 4:3; საუთჰემპტონი — ქოვენთრი 0:1.დ.ჯ.; სტოკი — ბარნსლი 3:2; ლივერპული — ჩელსი 2:1.დ.ჯ. (1:1); შეფილდ უენსდი — შეფილდ იუნაიტედი 2:1 დ.ჯ. (1:1)

თურქეთი

სუპერთასი

გალათასარაი 1:2 ბეშიქთაში

საფრანგეთი

ლიგის თასი

ნანსი — სოშო 1:0; რედ სტარი — ლორიანი 5:2; ლე ავრი — ლავალი 3:3.დ.ჯ. (1:1 პენ. 5:3); ლუანი — კრეტეი 1:3; ნიმი — ანგერი 4:2; ამიენი — ლე მანი 4:2.დ.ჯ. (2:2); ვალანსი — ბოუე 2:0; მარტიგი — შატორუ 0:3; კანი — მონპელიე 3:0

შოტლანდია

ლიგის თასის მეოთხედფინალი

პარიზი 2:5.დ.ჯ. (2:2) სელტიკი
1:0 კამერონი (36პ), 1:1 კრეინი (41), 1:2 ჯ. სმიტი (50), 2:2 კამერონი (70პ), 2:3 ჰელი (99), 2:4 მორაჩიკი (116), 2:5 მაკნამარა (117)

გერმანია

თასის მეთექვსმეტედფინალი

უნიონი — ფიურტი 1:0; შტუტგარტი (მოგ.) — შტუტგარტი 0:3; ლიუბეკი — დუისბურგი 1:1 (პენ.3:5); ულმი — კოტბუსი 2:0; ჰანოვერი — ჰანზა 2:1; მიონხენგლადბახი — კაიზერსლაუტერნი 5:1; უნტერჰაჩინგი — მიუნხენი 1:2.დ.ჯ. (1:1); ზანქტ პაული — შალკე 1:2.დ.ჯ. (1:1); ვოლფსბურგი — ბერტა 3:1; მაგდებურგი — ბაიერნი 1:1 (პენ.4:2)

ჩეხეთი

გადადებული მატჩები

იაბლონეცი — ბრნო 2:1; ბუდეიოვიცე — პრეიბრამი 0:0

ინტერი — რომა 2:0. ალვაროო რეკობამ (№20) და ჰაქან შუქურმა „ნერო აძურის" წლეულს მეორედ მოაგებინეს

იუვენტუსი — უდინეზე 1:2. ორი გოლის გამტანი რობერტო სოსა და მორტენ ბისგაარდი (№23) ედგარ დავიდსზე სამი ჭულით მაღლა ახტნენ

ვალიადოლიდი — ესპანიოლი 1:1. ბარსელონელ რაულ ტამუდოს ამჯერად მასპინძელმა გორსია კალვომ აჯობა, მალე კი მსაჯმა მინდვრიდან დაითხოვა

REUTERS ტურნირიდან

15 000 მას, ვინც ჩერქეზოვს სკამზე დასვამს

გუშინდელი სადისციპლინო კომიტეტის სხდომის მთავარი თემა „ჩერქეზოვის საქმე“ იყო. მომხდარს მოკლედ შეგახსენებთ. 14 ოქტომბერს უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის მერვე ტურის კალენდარულ მატჩში „მერანმა“ „სიონს“ უმასპინძლა...

„დაბაბული მატჩი, რომელიც მსაჯმა კიდევ უფრო გაამძაფრა, მშვიდობიანად კი ჩამთავრდა, მაგრამ მატჩის მერე არბიტრისკენ „მერანის“ მენეჯერმა ვლადიმერ ჩერქეზოვმა ისე გაიწია, რომ არ დაეკავებინათ, კახაბერ მესხს პანღური არ ასცდებოდა.“ 17 ოქტომბრის („სარბიელი“).

„მერან“ — „სიონის“ მატჩის არბიტრი, ზუგდიდელი კახა მესხი გახლდათ.

კახა მესხი. კოლეგების აზრით, პრინციპული, გონიერი მსაჯი; სიკვდილს გადაურჩა დარჩელში, „ჩელასა“ და „ზუგდიდის“ კალენდარული მატჩისას (ბრბომ ლამის ჩაქოლა). ფლობს მსაჯისთვის დახვეწილ მანერებს. სადისციპლინო კომიტეტის თავარი გმირი არაერთხელ ყოფილა. ბოლოს ჩერქეზოვის პანღური აცდა და, როგორც თავად აცხადებს, არავის და არაფერის არ ეშინია.

ვლადიმერ ჩერქეზოვი. აქამდე „მერანის“ მენეჯერად ვიცნობდით. გაირკვა, რომ ამავე დროს გუნდის ტექნიკური დირექტორიც ყოფილა. შესაძლოა, მალე „მერანში“ სხვა ამპლუაშიც მოგვევლინოს. ამას წინათ უზრუნველყო ბავშვთა გუნდის საზღვარგარეთულ ტურნირში მონაწილეობა. მატჩების დროს ემოციურია. 14 ოქტომბერს „სინათლეზე“ მესხის გასაპანღურებლად გაიწია.

სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა ჩერქეზოვის მოსმენამდე („მერანს“ კლუბის პრეზიდენტი დავით ფურცელაძე და ვიცე-პრეზიდენტი ანზორ მამალაძეც წარმოადგენდნენ), დაზარალებული მესხის პატაკი წაიკითხეს. საკვირველია, მაგრამ ზუგდიელი არბიტრი გუშინდელ სხდომას არ დასწრებია. მესხი წერს: „სისხლიანი თამაში იყო. „მერანის“ კარში თერთმეტმეტრიანის დანიშვნის შემდეგ ჩერქეზოვი ხშირად ტოვებდა კუთვნილ ადგილს, თავს ვერ იკავებდა და ჩემი მისამართით რეპლიკებს ისროდა. შევაჩერე თამაში და გავაფრთხილე, რომ დამშვიდებულიყო. მატჩის მერე გასახდელისკენ წავედი, ჩერქეზოვი მომეპარა და წიხლი ამომარტყა, თან მაგინებდა, გინება გასახდელშიც გააგრძელა. უკმაყოფილო იყო პრეზიდენტი ფურცელაძეც. მითხრა, 89-ე წუთზე პენალტი უნდა დაგედოო. ისეთ პიროვნებას, როგორიც ჩერქეზოვია, თუ დაავალებენ, მე და ჩემს კოლეგებს მსაჯობა გაგვიადვილდება. მე არავის მეშინია. რომც მომკლან, მაინც პატიოსნად ვიმსაჯებ.“

მესხის ახსნა-განმარტების კითხვისას ჩერქეზოვმა რამდენჯერმე გააწყვეტინა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, გურამ ძაგნიას — არ ამომირტყამს პანღური, ტყუილიაო.

მომხდარზე მესხის აზრისანი არიან იმ მატჩის თანამსაჯები: კობა გაბრიაძე და გია კიკაჩეიშვილი, იგივე პოზიციაზეა სათადარიგო არბიტრი ალექსანდრე მეშკოვიც. რაც შეეხება მატჩის ინსპექტორ ვლადიმერ ელოშვილს, მას არ დაუნახავს სადავო ეპიზოდი. „იმ მომენტში სხვას ველაპარაკებოდი. ზურგსუკან ჩოჩქოლი ატყდა და რომ მივტრიალდი, ყველაფერი დამთავრებული იყო, ჩერქეზოვი მეშკოვს გაჰყავდა. რომ ვიკითხე რა მოხდა-მეთქი, მესხმა მითხრა, პანღური ამომარტყაო, იგივე დაადასტურა მეშკოვმაც...“. სხდომაზე მოსულ ელოშვილს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, მანამდე უჩვეულო პოზიციაში მყოფმა კომიტეტის აქტიურმა წევრმა გოგი დემეტრაძემ (ჩუმად იჯდა) ერთბაშად იფეთქა და... — ვერ მოქცეულხარ კარგად — მიუტრიალდა ჩერქეზოვს, მართლა უნდა ამოგერტყა პანღური და კარგად მიგეჟეჟა. ალბო, ვერ გავიგე რა ხდება — ახლა კოლეგებს მოუტრიალდა, რა გახდა ეს მესხი... ყველა სხდომაზე ერთი და იგივეა — მილჩენკო, მესხი, მეშკოვი. თავაც ნახეთ, სამივეს გვარი მ-ზე იწყება. მაგიაა თუ რაა. ყოველთვის მილჩენკო, მესხი და მეშკოვია გარეული ყველა საქმეში — მ.მ.მ... თქვენ იცით, ეგ მესხი ვინ არის? კაცი მოკლეს სამეგრელოში, მერე მოკლული წამოიღეს

ბაბრი ჯიბლაძის ფოტო

გოგი დემეტრაძე ვლადიმერ ჩერქეზოვს გაუწყრა, არბიტრი მაგრად უნდა გეჟეჟაო

და რამდენიმე დღეში „ეროვნულზე“ ამსაჯეს, იქ უარესები გააკეთა. მაგის მსაჯობა როგორ შეიძლება, ეგ ხომ ავადმყოფია. ოჰ, ნეტავ, მართლა ამოგერტყა... — დემეტრაძემ ისევ ჩერქეზოვს გახედა დანანებით. ამან დაბნეულმა თავი იმართლა, გულით მინდოდა, მაგრამ არ გამაკარესო.

დემეტრაძის მონოლოგის შემდეგ აჭარხლებული წამოიჭრა ფეხზე სამსაჯო საინსპექტორო კომიტეტის წარმომადგენელი, ანატოლი მილჩენკოს მარჯვენა ხელი ოთარ გუნთაძე.

„მე თითოეული ჩემი კოლეგის ინტერესების დამცველი ვარ, არავის მივცემ უფლებას, მსაჯებზე ასე ილაპარაკოს და ამაზე სათანადო რეაგირებასაც მოვახდენთ. ის მატჩი მესხმა ბრწყინვალედ იმსაჯა. პრინციპული ბიჭია და ამ პრინციპებს თავისი მსაჯობით გამოხატავს“.

იქნებ მაგ პრინციპის გამო არ დადო „სიონის“ კარში უეჭველი თერთმეტმეტრიანიო, იკითხა დავით ფურცელაძემ. „მერანის“ პრეზიდენტმა იმ მატჩის არბიტრისადმი წაყენებული პრეტენზიები ასე დაასაბუთა: „ექვსი შეცვლა მოხდა მეორე ნახევარში და მესხმა მხოლოდ ორი წუთი დაამატა ძირითად დროს, თანაც ყველამ ნახა, ეს პრესაშიც აღინიშნა, რომ 89-ე წუთზე ჩვენს სასარგებლოდ აშკარა პენალტი არ დანიშნა... ჩერქეზოვს არ ვამართლებ, რა თქმა უნდა, მან ნერვები ვერ მოთოკა, მაგრამ მცდელობას და დარტყმას შორის ხომ არის განსხვავება... მატჩის წინ მსაჯები დავიბარე, მოვიწვიე „სიონის“ წარმომადგენელი, მისი თანდასწრებით ოთხივეს ვთხოვე, საშინაო მატჩი მაქვს, მხოლოდ ის მსურს, ობიექტურად იმსაჯოთ-მეთქი. იგივე ითხოვა „სიონის“ წარმომადგენელმაც. მოგვიანებით მილჩენკომ შენიშვნა მომცა, ასეთი რამ დაუშვებელიაო. კი, ბატონო, აღარ მოვიქცევი ასე, მაგრამ ამით მსაჯობას ეშველება რამე? დღეისთვის ჩემს გუნდს 13 ქულა აქვს, ნაღდ ბრძოლაში მხოლოდ „ლოკომოტივთან“ და „დინამოსთან“ დავმარცხდით. დანარჩენი დაკარგული ქულები მსაჯების ნამუსზე იყოს“.

კომიტეტის წევრები დაინტერესდნენ გუნდის ხელმძღვანელობამ ჩერქეზოვის დასასჯელად რაიმე ზომები თუ მიიღოო. ამის გამგონე, ანზორ მამალაძემ გაოცებით გაშალა ხელები — კაცი ფეხბურთის გიჟია და ხუთი მატჩი გამოვატოვებინეთ, მეტი რაღა ვქნათო.

სადისციპლინო კომიტეტის წევრმა ზურაბ პეტრიაშვილმა ჟურნალისტების წვლილი არ დაივიწყა, რომ არა ის ხალხი, ბევრი რამ მიჩქმალული დარჩებოდაო. სხდომის დაწყებიდან 70 წუთის თავზე კი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გურამ ძაგანია ჩერქეზოვს დაჰპირდა, ბევრ საქმეს აკეთებთ ქართული ფეხბურთისთვის, მაგრამ 14 ოქტომბერს მომხდარის გამო დაუსჯელი მაინც ვერ დარჩებითო. ამ სიტყვების შემდეგ ძაგანიამ ყველას გვთხოვა, ოთახი დაგვეტოვებინა — საბოლოო განაჩენს გამოვიტანთ და ხუთ-ექვს წუთში ისევ გიხმობთო.

„შესაძლოა, თქვენ დეტალებში საბოლოოდ გარკვეული არ ხართ. ყველაფერს აგიხსნით... „მერანი“ — „სიონის“ მატჩი ნებისმიერ შემთხვევაში ფრედ დასრულდებოდა. „სიონს“ რომ პირველ ტაიმში პენალტი გამოეყენებინა, გარწმუნებთ, მატჩის ბოლოს მესხი სადავო ეპიზოდს ჩვენ სასარგებლოდ, თერთმეტმეტრიანით დაასრულებდა. ეს ეპიზოდიც რომ არა, ანგარიშის გასათანაბრებლად ყველა ღონეს იხმარდა. იმ დღეს ფრე უნდა ყოფილიყო. რატომ? იმიტომ, რომ ყოველივე ფოთლთა წისქვილზე ასხამდა წყალს, „მერანიც“ და „სიონიც“ „კოლხეთის“ კონკურენტები არიან საფეხბურთოდ, და „კოლხეთის“ რომლის ინტერესებსაც მესხი იცავს. მატჩის ბოლოს შევხვდი მას, ჩემი ეჭვები გავუმხილე, დავანამუსე, ხმა ვერ ამოიღო. რატომ არ არის აქ დღეს? იმიტომ, რომ უამრავ კითხვაზე მოუწევდა პასუხის გაცემა, დაპირისპირებას მიერიდა... მომხდარიდან რამდენიმე დღის შემდეგ სფფ-ის სამსაჯოში მორიგი ტურის მსაჯების კენჭისყრა მოეწყო. „კოლხეთის“ წარმომადგენელმა პირდაპირ განაცხადა, გვინდა, მესხმა გვიმსაჯოსო, საბედნიეროდ, „კოლხეთის“ მეტოქე გუნდის წარმომადგენელი წინააღმდეგი იყო. კენჭისყრა მოეწყო და საბოლოოდ კოლხებს კვარაცხელია შერჩათ ხელში.

ვიცი, გარკვეულწილად სკანდალური განცხადებაა, მაგრამ სიმართლეა, ოდესმე ვინმემ ხომ უნდა აიმაღლოს ხმა იმ განუკითხაობაზე, რაც ჩვენში ხდება“.

— აი, ის, რისი თქმაც 5-წუთიან შესვენებაზე მოასწრო ანზორ მამალაძემ

და განაჩენი:

გურამ ძაგნიამ რამდენიმე წამში მოილია სათქმელი. „მერანის“ სტადიონს წლის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია გამოუცხადა. ჩერქეზოვი დაჯარიმდა 1500 ლარით და სეზონის ბოლომდე აეკრძალა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა.

ამის თქმა იყო და აირია მონასტერი. ჩერქეზოვი კართან მიიჭრა, საერთოდ წავალ საქართველოდანო, იყვირა, თუმც სწრაფად მოტრიალდა კომიტეტის წევრებთან და გადაწყვეტილების დასაბუთება მოსთხოვა, მაგრამ კარებისკენ რომ მიუთითეს, აღელვებულმა იყვირა, ის ნაძირალა მართლა ცემას იმსახურებდა. როგორ, ხვალ რომ გუნდის მწვრთნელი გავხდე, მოთამაშეების გვერდით არ უნდა ვიყოო? გვერდით ვერ იქნებით, თქვენც სათადარიგოთა სკამის უკან მოთავსდითო, დაამშვიდეს დისციპლინარებმა ჩერქეზოვი.

15 ათას ლარს გადავიხდი, შესძახა „მერანის“ ჯერაც ტექნიკურმა დირექტორმა, ოღონდ ეს სასჯელი მომიხსენითო, თუმც ყური არავინ ათხოვა. უკმაყოფილო დარჩა დავით ფურცელაძეც. ანზორ მამალაძემ კი გაკვირვებულმა იკითხა, სტადიონს რატომ სჯით, მაყურებლების მხრიდან ხომ არ მომხდარა დარღვევაო.

კომიტეტმაც წამსვე გამოასწორა ხარვეზი და „სინათლეს“ პირობითი დისკვალიფიკაცია საყვედურით შეუცვალა. ემოციების დაცხრობას ათიოდ წუთი კიდევ დასჭირდა და მერანელებმა ფიზკულტურის აკადემიის რექტორის კაბინეტი დატოვეს. შემდეგ კი დისციპლინარებმა სხვა დარღვევებისთვისაც მოიცალეს, ოღონდ ეს საქმე იმდენად მარტივი და მოკლე დროში ჩასატევი აღმოჩნდა, რომ სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელი სხდომა ხუთ წუთში ისტორიას ჩაბარდა. ჩვენც გუშინ გამოტანილ სხვა დადგენილებებს მოკლედ გაგაცნობთ:

ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით და 100 ლარით დაჯარიმდა „გორდა“ — „სიონის“ მატჩში გაძევებული ბოლნისელთა გუნდის უფროსი ფირუზ რეხვიაშვილი.

იგივე სასჯელი შეეფარდათ მსაჯების გინებისთვის ბათუმელ გელა ქორიძეს და გორელ ვახტანგ აკოფიანს. „კოლხეთი“ — „დილას“ მატჩში ორი ყვითელი ბარათით გასახდელის გზას დამდგარი ელდარ გვასალია კი 50 ლარით შეითხელებს ჯიბეს.

პირველი ლიგის ჩემპიონატის „გურია“ — „შუქურას“ მატჩში გინებით აიკლო მსაჯები ქობულეთელთა მწვრთნელ-სელექციონერმა ლევან ბაჟუნაშვილმა. ზღვისპირელს ნამატჩევს ბოდიში კი მოუხდია, მაგრამ ამან მაინც ვერ უშველა: დისციპლინარებმა იგი 500 ლარით დასაჯეს და სეზონის ბოლომდე მოკვეთეს.

გუშინწინ, იგივე პირველი ლიგის ჩემპიონატის XI ტურის გადმოტანილ მატჩში „ივერიამ“ „ზუგდიდს“ უმასპინძლა. მატჩი მშვიდობიანი ანგარიშით კი დასრულდა (0:0), მაგრამ შეხვედრის მსაჯი ოთარ ხეცაძე შინ თავგატეხილი დაბრუნდა. მას ტრიბუნიდან ნასროლი ქვა მოხვდა. სადისციპლინო კომიტეტმა მკაცრი გაფრთხილება გამოუტანა „ივერიას“ და 200 ლარითაც გაამდიდრა სფფ-ის სალარო.

ბაბა ძაგანტალიანი

ბურაბ დოლიძეების ფოტო

„მერანი“ — „სიონის“ 14 ოქტომბრის მატჩის შემდეგ ვლადიმერ ჩერქეზოვი აკაკი დევაძის და სათადარიგო არბიტრ ალექსანდრე მეშკოვის გასაყავებელი გახდა

აპრილში ისრაელი, დანარჩენები ვნახოთ...

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უახლოესი ოფიციალური შეხვედრა 28 მარტს რუმინეთის ნაკრებთან ელის. ჯერაც არ გადაწყვეტილა სად, რომელ სტადიონზე ვუმასპინძლებთ რუმინელებს, მაგრამ მანამდე ერთი საკითხიც მოსაგვარებელია — ნაკრებს ამხანაგური მატჩები სჭირდება. სერიოზულ მეტოქეს მთლად უთამაშებელი როგორ დაუხვდებიან?!

როგორც ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, მოლაპარაკებები მიმდინარეობს უკრაინის და ლატვიის ფედერაციებთან, იქნებ რომელიმე მათგანი გვეწვიოსო.

კვიპროსის საფეხბურთო ასოციაციამ ამას წინათ ტურნირზეც მიგვიპატიჟაო, გვაცნობეს ფედერაციაში. მართალია, მიწვევის დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი ქართულ მხარეს ჯერ არ მიუღია, მაგრამ ფაქსს დღე-დღეზე ველითო. კვიპროსის ტურნირი თებერვლის ბოლოს ჩატარდება, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ კვიპროსზე საქართველოს ნაკრებმა წლეულს თებერვალშიც ითამაშა. ქართველებმა დაამარცხეს სომხეთის ეროვნული და სლოვაკეთის ახალგაზრდული გუნდები, ხოლო გადახალისებულ რუმინეთთან პენალტების სერიაში წააგეს.

ფეხბურთის ფედერაციაში ერთი რამ დანამდვილებით იციან. გადაწყდა, ისრაელის ნაკრები 28 მარტის ვალს გაისტუმრებს და საქართველოს მომავალი წლის 24 აპრილს ესტუმრება.

საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, მაგრამ სავარაუდოდ თამაში, ალბათ, ქუთაისში ჩატარდება.

გამუკა კვანტალიანი

სოსო გრიშიკაშვილი

კახა ცხადაძე

მურთაზ შელია

დინამოელები გამოჯანმრთელდნენ

ქვეყნის ათგზის ჩემპიონ თბილისის „დინამოს“ ბევრ სხვა გასაჭირთან ერთად ტრავმებმაც დარია ხელი. გულშემატკივარი შეატყობდა, ბოლო ტურებში მეკარე სოსო გრიშიკაშვილი ძირითად შემადგენლობაში არ გამოჩენილა. მას ხელი ჰქონდა დაშავებული და ვარჯიშებზე მხოლოდ სირბილით თუ შემოიფარგლებოდა.

როგორც გუნდის ექიმმა ზაქრო თელიამ გვითხრა, სოსოს ტრავმა მოუშუშებია და ამჟამად მთელი დატვირთვით ვარჯიშობს. გრიშიკაშვილს, ალბათ, უახლოეს ტურებშივე ვიხილავთ ძირითად შემადგენლობაში.

კარგა ხანია, მურთაზ შელიაც არ თამაშობს. ჩემპიონატის საწყისი ტურების შემდეგ შელიამ საშველად ექიმებს მიმართა. ჯერ საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და ის იყო, ვარჯიში მთელი დატვირთვით უნდა დაეწყო, რომ ფეხის კუნთი გაუწყდა. 20 დღე მის მორჩენას დასჭირდა და შელიაც დღითი დღე ვარჯიშის ხანგრძლივობას ზრდისო, გვაცნობა თელიამ.

კახა ცხადაძეს რამე არ აწუხებდეს, ის უფრო გაგვიკვირდება, ვიდრე მისი ფეხბურთში დაბრუნება. ძალიან გააწვალა ეროვნული გუნდის ყოფილი კაპიტანი ტრავმებმა. სულ ახლახან მენისკის ოპერაციაც გაიკეთა, მერე ნაკრებს ამხნევებდა ლიტვა-იტალიაში.

ცხადაძეც ჯერაც სარეაბილიტაციო პერიოდი აქვს. ტრავმის შემდეგ ეს აუცილებელია. ნაჩქარევად ვარჯიშის დაწყება სიკეთეს არ მოიტანს, ამიტომ კახა მხოლოდ მცირე დატვირთვებს იღებს და თამაშსაც, ალბათ, თვენახევარში დაიწყებსო, ასე დააბოლოვა „სარბიელთან“ საუბარი ზაქრო თელიამ.

დათო დანელია

თემურ ქეცბაია წლეულს 2 თებერვალს კვიპროსზე სლოვაკეთთან მატჩისას

მაისურაძე ერთ კვირაში დაიწყებს

პრობლემები მოუმრავლდა „სიონის“ თავკაც სპარტაკ არჩვაძეს. კაპიტანი და დაცვის ბურჯი არჩილ შაკიაშვილი ნოპერაციევია და კარგა ხანს ვერ ითამაშებს. დავით სოლოღაშვილი მინი-ფეხბურთის ნაკრებს გაჰყვა ესპანეთში, ხოლო მეორე ცენტრალური მცველი ვასილ მაისურაძეც ფეხმტკივნი ექიმთან დაიარება.

— ასეთი რამ არასდროს მომსვლია. სამტრედიის „იბერიასთან“ მატჩამდე, ბოლო ვარჯიშზე მარჯვენა ფეხის კუნთი დამეჭიმა, არადა წვრთნის დაწყებამდე საფუძვლიანად გავხურდი — გვითხრა ფეხბურთელმა.

ვარჯიში არ გაბედო, ტრავმა უფრო გაგირთულდება — დიმიტრი ზაალიშვილის მოთხოვნა კატეგორიული იყო. 20 ოქტომბრიდან გუშინდლამდე ვასილ მაისურაძე იძულებით ისვენებდა. გუშინ კი ფეხბურთელს ძუნძულის უფლება დართეს.

— განსაკურნებლად ერთი კვირა კიდევ დამჭირდება. 4 ნოემბერს „ტორპედოსთან“ საშინაო მატჩსაც გამოვტოვებ და „სიონს“ შემდეგ ტურშიღა შევუერთდებიო, თქვა მაისურაძემ.

დათო დანელია

კიკნაძეს 90 ათასი უშველის

იყო დრო, მას ჯანლუიჯი ბუფონისთვის გოლი გაჰქონდა. რუსთავური საქართველო — იტალიის მატჩის გმირი გიორგი კიკნაძე ისევ უსაქმოდაა.

ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველის კარიერა კარგად დაიწყო. სრულიად ახალგაზრდამ მოირგო „დინამოს“ მაისურა, მერე იყო ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები. წარსულს ჩაბარდა დროებითი უქმობა, თვალის ოპერაცია და სხვა სირთულეები.

კიკნაძემ თავისი კარიერის საუკეთესო პერიოდში თამაშის გაგრძელება საზღვარგარეთ მოინდომა. მიზანში თურქული ჩემპიონატი ამოიღო და უმაღლესლიგელი „სამსუნსფორის“ კარიც თამამად შუაღო. იქნებ მაშინ დაუშვა შეცდომა, მას სხვა ქვეყნებშიც იწვევდნენ, მაგრამ თურქული კლუბი ირჩია.

ვერ მოეწყო „სამსუნსფორში“, უკან გამობრუნდა და ბევრმა ვერც გაიგო, რა პრობლემებში გაყო თავი ქართველმა ფეხბურთელმა. ფურქეთიდან წამოსულს ვალის მეტი არაფერი შერჩა. „სამსუნსფორი“ კვლავაც 90 ათას დოლარს მოითხოვს და ცენტსაც არ უკლებს.

გიორგი კიკნაძე დიღის ბაზაზე ვარჯიშობს. რაღაც ვარიანტები კი გამოუჩნდა, მაგრამ რეალური ჯერჯერობით არაფერია. როგორც თავად ფეხბურთელმა გვითხრა, მთავარია, თურქებს თავი დააღწიოს და მერე ახალი კლუბის პოვნა პრობლემა არ იქნება. ამ საქმეს კი 90 ათასი დოლარი უნდა, რომელიც ფეხბურთელს, რა თქმა უნდა, არა აქვს.

გამუკა კვანტალიანი

გიორგი კიკნაძე

ასლანაძე ისევ რკინიგზელია, მიქაძე უკრაინელი არმიელი

სამი მეკარე ჰყავს თბილისურ „ლოკომოტივს“ — ძირითადის გიორგი ლომაია და სათადარიგოები — დავით ასლანაძე და მანუჩარ ივარდავა. ეროვნული ჩემპიონატის და სათასო მატჩებს სულ ლომაია თამაშობს, რომელსაც ბოლო დროს ივარდავა დუბლიორობს, ასლანაძე კი სადღაც გაქრა.

ერთხანს ჭორად დადიოდა, ასლანაძეს „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებთან კონფლიქტი მოუვიდა და გუნდიდან წავიდა თუ გაუშვესო. რახან მეკარეც არსად ჩანდა, ეს ამბავი ბევრმა ირწმუნა.

ეჭვები თავად მეკარემ გაფანტა. დათოს თირკმელები ასტკივებია და სამკურნალოდ ქუთაისში წასულა. თბილისიში დაბრუნებულ და გამოჯანმრთელებულ ასლანაძეს ჯერ ვარჯიში არ განეახლებინა, ისევ სამკურნალო შეიქნა, ამჯერად იგი გრიპმა შეაწუხა. ასე რომ, ასლანაძე ისევ რკინიგზელია და მალე სრულფასოვან ვარჯიშსაც შეუდგება.

რკინიგზელებმა ერთი ფეხბურთელიც მოისაკლისეს. ლევან მიქაძე გუნდიდან წავიდა, ოღონდ უთანხმოება არავისთან ჰქონია, მისი წასვლის შესახებ ხელმძღვანელებმა ყველაფერი დაწვრილებით იცოდნენ.

მიქაძეს უცხოეთში სურდა კარიერის გაგრძელება და ამჯერად გეზი უკრაინისკენ აუღია. „ლოკომოტივის“ წარმომადგენლის თქმით, მიქაძე კიევის „ცსკა“-ში ისინჯება და მისი საკითხი უახლეს მომავალში გაირკვევა.

დათო დანელია

დავით ასლანაძე

ანჩაბაძე თბილისშია და წინადადებას ელის

რატომ ვერ გადავიდა გიორგი ანჩაბაძე ვლადიკავკაზურ „ალანიაში“, ან რატომ არ თამაშობს ეროვნულ ჩემპიონატში? ძალიან ცოტა თუ უპასუხებს ამ კითხვას.

რუსეთის ჩემპიონატის დაწყებამდე გიორგი კვიპროსულ შეკრებაზეც ახლდა „ალანიას“. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ რუსეთის საფეხბურთო კავშირმა განაცხადების მიღება რომ შეწყვიტა, ალანთა რიგებში ანჩაბაძის გვარს ვერსად იპოვიდით.

კარგად გვახსოვს მაშინდელი დავა-კამათი. ფეხბურთის ფედერაციამ და „დინამომ“ ანჩაბაძის სასიკეთოდ ვერაფერი გააკეთეს და რუსული ჩემპიონატის ნაცვლად საქართველოს სუპერთასის მატჩში, „დინამო“ — „ტორპედოს“ დაპირისპირებაში მიიღო მონაწილეობა.

მერე კიდევ ითამაშა „დინამოში“ და თვალთახედვის არიდან გაქრა. ამას კი ამბობდა, ვერაფერი გავიგე, ვერ გავრკვეულვარ, „ალანიაში“ რატომ ვერ გადავედიო.

ამჟამად გიორგი ანჩაბაძე თბილისშია. იგი ჯერჯერობით უგუნდოდ დარჩა და ფორმის შესანარჩუნებლად ინდივიდუალურად ვარჯიშობს, თან მისაღებ წინადადებებს ელის. ნუთუ ისე გაძლიერდნენ ქართული კლუბები, რომ გიორგი ანჩაბაძე აღარავის სჭირდება?

დათო დანელია

დილა — ხაჩირაშვილის თავსატეხი

„დილას“ მთავარი მწვრთნელი ვაჟა ხაჩირაშვილი

გორის „დილას“ მორიგი, ახალი მთავარი მწვრთნელი დაუნიშნეს. იქაურები ტრადიციას არ ღალატობენ. როგორც ყოველთვის, ჩემპიონატს ერთი მწვრთნელი იწყებს და სულ სხვა ამთავრებს.

ვაჟა ხაჩირაშვილი „დილას“ სამზარეულოში კარგად ჩახედული კაცია. იგი გუნდში მთავარი მწვრთნელიც ყოფილა და დამხმარედაც უმუშავია. სწორედ ხაჩირაშვილი წვრთნიდა იმ „დილას“, რომელმაც თასიც გათამაშების ნახევარფინალში გააღწია და „დინამოსთან“ ორმატჩიანი ღუელი დათმო.

ძალიან გაბედული უნდა იყო კაცი, ამჟამინდელ „დილაში“ მუშაობას რომ დაყაბულდე. მართალია, კლუბი დღეს წელგამართულია, ფინანსურად არაფერი უჭირს, მაგრამ თაობათა ცვლის მტკივნეულმა პროცესმა და ფეხბურთელთა სისტემატურმა გადინებამ „დილას“ თავისი დაღი დაამჩნია. ეროვნულ ჩემპიონატში გორელებს ასე არ გასჭირვებიათ. პირველი წრის შემდეგ „დილა“ ბოლოსწინა ადგილზეა.

ხაჩირაშვილის სამწვრთნელო ლიცენზიას ცხონებული ნოდარ ახალკაცის ხელმოწერა ამშვენებს, საჭირო შემთხვევაში ჭკუის დამრიგებელიც მოიძებნება და დათანხმდა ხაჩირაშვილი კლუბის ხელმძღვანელთა შემოთავაზებას.

— მე გორელი ვარ და პირველ ყოვლისა, სწორედ ამიტომაც განვაცხადე თანხმობა. მერე, მწვრთნელი მქვია და მეც მსურს, ჩემი დავამტკიცო. კარგად გავაცნობიერე, სად და ვისთან მოვდიოდი და მერწმუნეთ, გარისკვად ნამდვილად ღირდა. თანაც, სასწორის ერთ მხარეს „დილას“ ბედღბალი ჰკიდია. მთავარი სტიმულიც ეს იყო.

ფული საკმარისია, ბურთი, ბუცი და სხვა სპორტული ინვენტარი „დილას“ არ მოაკლდება, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მინდორზე ფეხბურთელი გადის, რომელმაც მწვრთნელის დავალება უნდა შეასრულოს და სასურველი შედეგი მოიმკას. თუ არადა, გავარდება გუნდი.

— წუწუნის დრო აღარ არის და ეს ხეირსაც არ მოიტანს. ვიმუშავებ იმასთან, ვინც გუნდშია. „დილას“ ყოველთვის ჰყავდა ნიჭიერი ფეხბურთელები, ვეტერანებისაც მეიმედება. სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე სამ-ოთხ ფეხბურთელსაც დავიმატებ. მათთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია და დარწმუნებული ვარ, „დილა“ უმაღლეს ლიგაში დარჩება.

ხაჩირაშვილის მოსვლის შემდეგ გუნდმა სამი თამაში წააგო. „ბათუმთან“, „ლოკომოტივთან“ და „კოლხეთთან“ გორელებს თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ ქულაც ვერ მოიპოვეს.

— არ არის გამორიცხული, კიდევ წავაგოთ ერთი-ორი თამაში, მაგრამ მერე მოგების დროც მოვა. ყველაფრის გასწორებას რამდენიმე დღე არ ეყოფა, დრო მეც მჭირდება. მთავარია, რომ გუნდი ფსიქოლოგიურად არ გატეხილა. ბიჭებიც იმედიანად არიან. ეს მაფიქრებინებს, რომ კრიზისს ყველა ერთად დავძლევთ.

ახალი მწვრთნელისთვის უმთავრესი კლუბის თავკაცთა თანადგომა გახლავთ. ამ მხრივაც წელგამართულია ხაჩირაშვილი. მას პირობები შეუქმნეს, დროც მისცეს, სანაცვლოდ უძლიერესთა შორის დარჩენა და გუნდის მოძველებული ფსიქოლოგიის შეცვლა დაუსახეს მიზნად.

— ექვსეულს ხელი დავუქნიეთ. იქ მოხვედრაზე ახლა ოცნებაც არ შეგვიძლია. მიზანი ერთია — ლიგაში დარჩენა. ახალი ჩემპიონატიდან კი, გვერწმუნეთ, „დილა“ არ იქნება უდარდელი და მშვიდი ცხოვრების მოყვარული გუნდი. ჩვენ გაცილებით მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

„დილას“ თავკაცებს მართლაც გადაუწყვეტიათ ყველაფრის ძირეულად შეცვლა. სულ მალე, ალბათ, გორის „ცენტრალურის“ გაახლებაც დაიწყება. გუნდიც სხვანაირი, მებრძოლი და სახელიანი სურთ, ჰყავდეთ. ამისთვის კი ვაჟა ხაჩირაშვილი შეარჩიეს. სამუშაო და სანერვიულო თავსაყრელია. იქნებ ახალგაზრდა მწვრთნელმა ინანოს კიდეც, ეს ნაბიჯი რომ გადამადგმევინაო, მაგრამ არჩევანი გაკეთებულია და ვერც დროს დავაბრუნებთ უკან.

ბამუკა კვანტალიანი

„ტორპედოსთანაც“ ნაყოჩაღევმა დავით მამარდაშვილმა „სიონთან“ მხარი დაიშავა

ახალი საბურთალო

ბევრჯერ გვითქვამს საქართველოში ბავშვთა ფეხბურთის ბუმიაო და ეს საფეხბურთო სკოლების სიმრავლითაც მტკიცდება. დღეს კიდევ ერთ საფეხბურთო სკოლაზე გიამბობთ, რომლის პრეზენტაციაც 29 ოქტომბერს შედგა.

საფეხბურთო სკოლის დაარსება იოლი საქმე არ არის და ფეხბურთიდან მოსულმა ბიჭებმა ეს მოახერხეს. პრეზიდენტმა გიგა არევაძემ, დირექტორ-მოადგილემ კახა და ქართლოს ჭუმბურიძეებმა არაერთი დღე მოანდომეს ჩანაფიქრის ასრულებას.

საბურთალოს რაიონის გამგებელი, 161-ე და დიდი დიღმის სკოლის დირექტორები მხარში ამოუდგნენ ორგანიზატორებს. დღეს „საბურთალო“ 1987-1995 წლებში დაბადებულ ნორჩ მობურთალებს ფეხბურთს ასწავლის.

161-ე სკოლაში სამი სავარჯიშო მოედანია, რომელთა კეთილმოწყობა გრძელდება. დიდ დიღომში კი პატარა მინდორთან ერთად ერთი სტანდარტული მოედანიც „საბურთალოსია“.

მწვრთნელებადაც ყოფილი ფეხბურთელები მოუწვევიათ და მიდის შრომა-მუშაობა.

29 ოქტომბერს იოსებიძის ქუჩას ბევრი სტუმარი ჰყავდა. პატარა ფეხბურთელებს, მშობლებს, მოწვეულ სტუმრებს და მათ მასპინძლებს სასიხარულო ბევრი ჰქონდათ. ფეხბურთის ფედერაციამ საჩუქრები გადასცა ორგანიზატორებს, ბოლოს კი სადღესასწაულო დღე „საბურთალოს თასის“ ფინალით დასრულდა. „საბურთალომ“ 1:2 წააგო „სიხარულთან“.

ბამუკა კვანტალიანი

ოლეგ გველესიანი (№8) მაყედონელებთან მატჩისას

გველესიანი მორჩა

სეზონის დასაწყისში „ბათუმის“ იტალიელმა თავკაცმა ჯანი კარნევალიმ რამდენიმე ფეხბურთელი გადაიბირა და ჩემპიონატიც მათთან ერთად დაიწყო. მერე აჭარულ კლუბში საქმეები აირია და ახალწვეულებთან ერთად ძველებიც გაუშვეს გუნდიდან. მალე თავად კარნევალიც გაეყარა „ბათუმს“.

სულ ექვსი ფეხბურთელი დაემშვიდობა მაშინ „ბათუმს“, მაგრამ მათ შორის არ იყო თექვსმეტ და თვრამეტწლამდელთა ნაკრების ყოფილი მოთამაშე ოლეგ გველესიანი, თუმც ის არც გუნდის შემადგენლობაში ჩანდა.

„იბერიასთან“ საშინაო თამაშში გველესიანი სათადარიგოებში გამოჩნდა.

გუშინ „ბათუმის“ მწვრთნელ ასლან ბალაძეს დავუკავშირდით და გველესიანის ამბავიც გამოვკითხეთ. ოლეგს მუხლი ჰქონია ნატკენი და ახლახანლა განიკურნა.

ერთი სიტყვით, ახალგაზრდული ნაკრების მარცხენაფლანგელმა სრული დატვირთვით დაიწყო ვარჯიში და არც გაგვიკვირდება, მალე გველესიანი „ბათუმის“ ძირითად შემადგენლობაშიც ვიხილოთ.

დათო დანელია

სტუდენტები მეკარის მხარს ჯავრობენ

თსუ-მ ბოლნისში პატარა სასწაული ჩაიდინა, „სიონს“ დაძაბულ ბრძოლაში მოუგო და არჩვაძის შეგირდებს ექვსეულში მოხვედრის შანსი გაუნახევრა.

ბოლნისურ მატჩში თავი ყველა სტუდენტმა გამოიჩინა, მაგრამ განსაკუთრებით მეკარემ იყოჩაღა. დავით მამარდაშვილი შეუმცდარი და შეუვალი აღმოჩნდა, თამაშის შემდეგ ყველამ აღიარა, სტუმრებს სამი ქულა მეკარემ მოუპოვაო.

თსუ-მ გამარჯვება შეიშნოვა, მაგრამ სამ ქულას მატჩის გმირის მხარი შეეწირა. დათოს ტკივილები დღესაც აწუხებს და ვეღარ ვარჯიშობს. ექიმთა დიაგნოზი ასეთია — ათდღიანი იძულებითი დასვენება. მამარდაშვილი მეთორმეტე ტურის მატჩს „დინამოსთან“ გამოტოვებს და თსუ-ს მეცამეტე ტურიდან დაეხმარება.

თავდამხსმელმა არჩილ ბოკერიამ ტრავმა ბოლნისურ მატჩამდე ტურით ადრე მიიღო. მას ფეხის კუნთი გაუწყდა და, ალბათ, კიდევ სამი კვირა ვერ ითამაშებს.

ტრავმიანია ნახევარმცველი გიორგი ადამიაც. მართალია, მას წვრთნა არ შეუწყვეტია, მაგრამ მწვრთნელები ბრძოლას არიდებენ და თუ უსაშველოდ არ გაჭირდა სათამაშოდ არ უშვებენ.

მოკლედ, სტუდენტთა დამრიგებელ თენგიზ კაციას საფიქრალი არ აკლია.

დათო დანელია

ყველაფერი ძველებურად

გუშინდელ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე რუსთავის „გორდას“ მთავარი მწვრთნელის იასონ ალადაშვილის საკითხიც უნდა განეხილათ.

„გორდა“ — თსუ-ს მატჩის ინსპექტორის მალხაზ ლაცაბიძის მტკიცებით, ალადაშვილს ნამატჩევს მსაჯები უგინებია.

ამ ეპიზოდის მოწმე თავად გახლდით და იასონ ალადაშვილს პიროვნულად არც ერთი შავოსანი ულანძღია, თუმც სადისციპლინო კომიტეტი ყოველთვის შავოსნების და სფფ-ის ინსპექტორის პატაკებს ეყრდნობა.

ასეა თუ ისე, ალადაშვილის საქმე დისციპლინარებს გუშინ არ განუხილავთ, რადგან თავად ბრალდებული არ იყო სხდომაზე. კომიტეტის წევრთა თქმით, ალადაშვილს თავისი პრობლემები ჰქონია, ანუ დღის წესრიგში მდგარა მისი გუნდიდან წასვლის საკითხი. ამასთან დაკავშირებით გუშინ „გორდას“ პრეზიდენტს თემურ ბუიღლიშვილს დავუკავშირდით.

— ჭორია, საერთოდ არ გვფიქრია ალადაშვილის გუნდიდან გაშვება, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, მისი მუშაობით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვართ, ასე რომ იასონი კვლავაც გუნდშია და თავის ფუნქციებს შეასრულებს — გვითხრა ბუიღლიშვილმა.

პაატა კვანტალიანი

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
◆ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
◆ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
◆ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის
განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

საშინელი შეცდომა ლონდონში ჩადის

თუ სერ ბობი ჩარლტონს გულმა უმტყუნა, დამნაშავე ერიკსონი იქნება

სვენ გორან ერიკსონი ინგლისის ნაკრების მწვრთნელია. მხოლოდ მცირედი ფორმალობანი დარჩა მოსაგვარებელი, რისთვისაც შვედს ლონდონში ჩასვლა მოუწევს. ერიკსონს ინგლისელები დღეს ელოდებიან. ითქვა, რომ თუ გუშინ „ლაციო" „ბრეშას" დაამარცხებდა, მწვრთნელი დაუყოვნებლივ გადაფრინდებოდა ლონდონში, სხვა შედეგის შემთხვევაში კი გუნდს არ მიატოვებდა. გუშინდელი მატჩის ანგარიშის გათვალისწინებით, ბრიტანელები შვედის დასახვედრად ემზადებიან.

ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ მთელი ინგლისი სიხარულით ეგებება ახალ მწვრთნელს. „ეს საშინელი შეცდომაა" — თქვა ჯეკი ჩარლტონმა. მისმა ძმამ, სერ ბობმა კი დაამატა, ყოველი ჭეშმარიტი ინგლისელისთვის ინფარქტის ტოლფასი უნდა იყოს ჩვენი ეროვნული სიამაყის — ნაკრების უცხოელისთვის ჩაბარებაო.

ჩარლტონთა მხარესაა ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარე გორდონ ტეილორიც: „სავსებით ნორმალურია, როცა რომელიმე ქვეყანა უცხოელს იწვევს, მაგრამ ინგლისი ყველასგან განსხვავდება. რაც სხვისთვის მისაღებია, 140-წლიანი ტრადიციის მქონე ინგლისის ნაკრებისთვის ღირსების შელახვას ნიშნავს."

საინტერესოა, რომ პრემიერლიგაში ამჟამად ექვსი არაინგლისელი მუშაობს: ირლანდიელი დევიდ ოლირი „ლიდსში", ფრანგი ჟერარ ულიე „ლივერპულში", მეორე ფრანგი არსენ ვენგერი „არსენალში", იტალიელი კლაუდიო რანიერი „ჩელსიში", შოტლანდიელი ალექს ფერგიუსონი „მანჩესტერ იუნაიტედში" და ასევე შოტლანდიელი გორდონ სტრაჩანი „ქოვენთრიში".

ჯეკი და ბობი ჩარლტონები, გორდონ ტეილორი და მათი თანამოაზრენი ფეხბურთის ასოციაციის იმ კომისიის წევრები არ იყვნენ, რომელმაც ნაკრების მწვრთნელი დანიშნა. იქ ამინდს დევიდ დევისი და ადამ კროზიე ქმნიან. კროზიე, ასოციაციის თავმჯდომარე ამბობს: „არ უნდა შეწყდეს ამ საკითხზე საუბარი? 140-წლიანი არსებობის მანძილზე ინგლისმა ერთადერთხელ მიაღწია წარმატებას და რაღაც ღირსებაზე კი ვლაპარაკობთ. რა გვინდა — ინგლისმა თასი მოიგოს, თუ უცხოელი არ წვრთნიდეს?" ადამ კროზიემ ეს განცხადება ასოციაციის ოფისის იმ დარბაზში გააკეთა, რომელსაც ინგლისური ფეხბურთის ლეგენდის ბობი მურის სახელი ჰქვია. თითქოს ბედის ირონიაო...

ამ დროს კი რომში უკვე ფიქრობენ ერიკსონის მემკვიდრეზე. „ლაციომ" გამოკითხვაც მოაწყო თავის ქომაგთა შორის და ასეთი შედეგები მიიღო: არიგო საკი — 70 პროცენტი, მარჩელო ლიპი — 10 პროცენტი, დინო ძოფი — 6 პროცენტი, რობერტო მანჩინი — 5 პროცენტი, ჯანლუკა ვიალი — 4 პროცენტი, არსენ ვენგერი — 2 პროცენტი, ალბერტო ძაკერონი — 1 პროცენტი. დანარჩენმა კანდიდატებმა საერთო ჯამში ორი პროცენტი შეაგროვეს.

როგორც გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, გულშემატკივრები ფაქტობრივად ერთსულოვანნი არიან — არიგო საკი, მაგრამ ჩვენ ყურადღება იმ კაცზე შევაჩერეთ, რომელმაც ხმათა მხოლოდ 5 პროცენტი მოაგროვა.

„ლაციოს" ფეხბურთელებს თავისი, ქომაგთაგან განსხვავებული ფავორიტი ჰყავთ: ერიკსონის ამჟამინდელი თანაშემწე, რობერტო მანჩინი. გასაკვირი არცაა — შეჩვეული ურჩევნიათ.

რაც შეეხება ერიკსონის წასვლას, თანაგუნდელთა სახელით პაველ ნედვედმა თქვა: „სამშაბათის ვარჯიშზე მან გვითხრა, რომ მიდის. რა თქმა უნდა, გული დაგვწყდა, მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვი არ შეგვიტანია. მეტიც, ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა ერიკსონისთვის იდეალური ვარიანტია."

ამასობაში კი ქომაგთა შორის უკმაყოფილებაა. ერიკსონი უკვე ინგლისზე ფიქრობს და „ლაციოს" სათანადო ყურადღებას ვეღარ მიაქცევსო — ამბობენ ისინი და მოითხოვენ, პრეზიდენტი ზაფხულს არ დაელოდოს და ახალი მწვრთნელი რაც შეიძლება სწრაფად მიიყვანოს.

გიორგი დარჯანია



სვენ გორან ერიკსონი

დაიბადა 1948 წლის 5 თებერვალს ტორსბიში, შვედეთი

1975: შვედეთის მეორე დივიზიონის „კარლსვოგას" ფეხბურთელი მუხლის მძიმე ტრავმამ ფეხბურთს სამუდამოდ ჩამოაშორა.

1976: დაინიშნა მესამე დივიზიონის „დეგერფორსის" მწვრთნელად და სამ წელიწადში გუნდი მეორე დივიზიონში გადაიყვანა.

1980: გადავიდა „გიოტებორგში". ორი სეზონის მანძილზე „გიოტებორგმა" ორჯერ აიღო შვედეთის თასი, გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ხოლო 1982 წელს მოიგო უეფას თასი.

1982: წავიდა შვედეთიდან და ორი სეზონი წვრთნიდა პორტუგალიურ „ბენფიკას". ორჯერ ზედიზედ მოიგო პორტუგალიის ჩემპიონატი და ერთხელ ქვეყნის თასი.

1984: გადაბარგდა იტალიაში და ჩაიბარა „რომა". პირველ სეზონში გუნდი მეშვიდე ადგილზე გაიყვანა.

1986: სკუდეტოს მოსაგებად „რომას" ბოლო ტურში გავარდნილი „ლეჩე" უნდა დაემარცხებინა, მაგრამ ვერ შეძლო (2:3) და პირველობა „იუვენტუსს" დაუთმო. იმავე სეზონში „რომამ" იტალიის თასი მოიპოვა.

1987: 4 მაისს წავიდა „რომადან" და მალევე „ფიორენტინას" მწვრთნელი გახდა. ფლორენციაში გატარებული ორი სეზონის განმავლობაში გუნდი სერია A-ში მეშვიდე და მერვე ადგილზე გაიყვანა.

1989: დაბრუნდა „ბენფიკაში". პირველივე სეზონში გუნდი ჩემპიონთა თასის ფინალში გაიყვანა, ხოლო მომდევნო სეზონში პორტუგალიის ჩემპიონი გახდა.

1991: გადავიდა „სამპდორიაში", სადაც ხუთი წელი იმუშავა. 1994 წელს მოიგო იტალიის თასი.

1997: გახდა „ლაციოს" მწვრთნელი და პირველივე სეზონში გუნდს ქვეყნის თასი მოაგებინა. უეფას თასის ფინალში „ლაციომ" 0:3 წააგო „ინტერთან".

1998: „ლაციოს" პირველი ევროპული ჯილდო მოუტანა: თასების თასის ფინალში დაამარცხა „მალიორკა". სერია A-ში ლიდერობდა ექვსქულიანი უპირატესობით (გაზაფხულზე), მაგრამ ბოლო ტურში ერთი ქულით ჩამორჩა „მილანს".

2000: „ლაციომ" დუბლი შეასრულა. იქამდე გუნდს 26 წელი არ მოეგო სკუდეტო. ჩემპიონატის დასრულებამდე შვიდი ტურით ადრე „ლაციო" „იუვენტუსს" ცხრა ქულით ჩამორჩებოდა და მხოლოდ ბოლო ტურში გაასწრო.

30 ოქტომბერს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ დაადასტურა, რომ აწარმოებს მასთან მოლაპარაკებას ნაკრების მწვრთნელობის თაობაზე. 31 ოქტომბერს დაინიშნა ინგლისის ნაკრების თავკაცად. მუშაობას 2001 წლის 1 ივლისიდან შეუდგება.



რობერტო მანჩინი და სვენ გორან ერიკსონი გუშინწინ „ლაციოს" საწვრთნელ ბაზაზე

შოტლანდია

ლიგის თასის მეოთხედფინალი

კილმარნოკი 2:1 პიბერნიანი
0:1 ლატაპი (2), 1:1 მაკლარენი (46), 2:1 დარგო (71)

რეინჯერსი 2:0 დანდი იუნაიტედი
1:0 მილერი (11), 2:0 ფერგიუსონი (30)

სენტ მირენი 2:1 დანფერმლაინი
1:0 მაკკარი (25), 1:1 ნიკოლსონი (29), 2:1 ფლეი (42)

ინგლისი

ლიგის თასის მეთექვსმეტედფინალი

როვერსი 1:2 სანდერლენდი
0:1 ჰაიჩისონი (48), 1:1 ელინგტონი (63), 1:2 ჰაიჩისონი (88)

ტოტენჰემი 1:3 ბირმინგემი
0:1, 0:2 ადებოლა (15,28), 0:3 ბერჩილი (45), 1:3 ანდერტონი (603)

ტრანმერი 3:2დ.დ. (2:2) ლიდსი
0:1, 0:2 ჰაკერბი (25,34), 1:2 პარკინსონი (52), 2:2 იეტსი (76), 3:2 პარკინსონი (120)

უოტფორდი 0:3 მანჩესტერი
0:1 სოლსკიაერი (12), 0:2 იორკი (53), 0:3 სოლსკიაერი (81)
გაძევება: ვან დერ გოუ (90, მანჩესტერი)

ვესტ ჰემი 2:0 გლეიზერნი
1:0 შუკერი (67), 2:0 დი კანიო (83)

უიმბლდონი 1:0 მიდლსბრო
1:0 ჰართსონი (85ბ)

I დივიზიონი

გადადებული მატჩები

გოლტონი 3:1 ძუინზ პარკი
0:1 კრუში (43), 1:1 ბერგსონი (45), 2:1 ელიოტი (62), 3:1 რიკეტსი (65)

ბარნლი 1:0 ძრიუ
1:0 კუკი (33)

უოტფორდი	14	11	3	0	30:11	36
ფულემი	14	11	2	1	34:10	35
ბირმინგემი	15	9	3	3	24:12	30
ბოლტონი	16	8	5	3	26:18	29
პრესტონი	15	8	4	3	18:11	28
ბარნლი	15	8	4	3	16:16	28
ვესტ ბრომვიჩი	16	8	3	5	18:18	27
ბლეკბერნი	14	7	3	4	22:15	24
ნოტინგემი	14	7	3	4	19:16	24
შეფილდ იუნ.	14	7	3	4	16:13	24
პორტსმუთი	16	5	6	5	18:19	21
ბარნსლი	15	5	4	6	23:25	19
უიმბლდონი	14	4	6	4	21:14	18
გრიმსბი	14	5	2	7	11:15	17
ვულვზი	15	3	7	5	15:15	16
ჯილინგემი	16	3	7	6	18:23	16
ტრანმერი	16	4	4	8	18:25	16
ქრიუ	16	4	3	9	10:20	15
ნორვიჩი	13	3	5	5	13:16	14
ქუინზ პარკი	15	2	6	7	15:24	12
უენსდი	15	3	3	9	14:27	12
სტოკპორტი	16	2	5	9	17:30	11
კრ. პალასი	15	2	3	10	13:24	9
ჰადერსფილდი	15	1	4	10	10:22	7

გერმანია

თასის მეთექვსმეტედფინალი

ფრაიბურგი 1:0 ვერდერი
1:0 სელიმი (90)
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, ა. ცაიერი, კონდე ვალ, რამდენ (ბაია 80), კულბაღლი (დორნი 86), ვისპუტეტ, ძუნიაშვილი, ბრუნი (ვ. ბუტი 46), სელიმი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ვერდერი: როსტი, ფრინგსი, ფ. ბაუმანი, ბილტსი, კრისტიანი, შტალტერი, ფ. ერნსტი, ვიკი, ბოდე, ბიზარო, ბილტონი
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: ერნსტი, ფრინგსი, კრისტიანი
10 000 მაყურებელი

ბრემენი 0:4 ბოზუმი
0:1 მ. მარიჩი (4), 0:2 შინდელლორეი (59), 0:3 ბასტურკი (61), 0:4 ბეშელი (77)

ალემანია 1:2 ლევერკუზენი
0:1 რამელო (13), 1:1 ქსიე (68), 1:2 ბრდარიჩი (71)

კარლსრუე 1:0 ჰამბურგი
1:0 ნაგორნი (70)
(გუშინდელ „სპორტში" ამ თამაშის შედეგი არასწორად გამოქვეყნდა)

ვეპენი 0:1დ.დ. დორტმუნდი
0:1 ბერლიხი (93)

ნიურნბერგი 4:0 მაინცი
1:0 მიოკელი (17), 2:0 დრილერი (22), 3:0 მიოკელი (41), 4:0 ბელიაკოვი (76)

რეკორდსმენი ირლანდიელი არ ყოფილა ირლანდიელი

ცრუირლანდიელი ტონი კასკარინო

ტონი კასკარინო ერთი წელია, რაც ფეხბურთს ჩამოშორდა. იქამდე ის „ჯილინგემში", „მილუოლში", „ასტონ ვილაში", „ჩელსიში", „სელტიკში", „ნანსში" და „მარსელში" თამაშობდა.

კასკარინო სამხრეთ ინგლისში დაიბადა, მაგრამ ირლანდიის ნაკრების წევრი იყო. სახელიც იმით გაითქვა, რომ ირლანდიის ნაკრებში ყველაზე მეტი — 88 მატჩი გამართა. ითამაშა იტალიისა და ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატებზე. რაც შეეხება მის ირლანდიელობას, იქაური ბაბუა ჰყოლია და ამიტომაც ჰქონდა მწვანე მაისურის ჩაცმის უფლება. გამოსათხოვარი მატჩი კასკარინომ მაისში ჩაატარა დუბლინში „ლივერპულის" წინააღმდეგ. მაშინ მასთან ერთად ნაკრებიდან სტივ სტონტონიც გააცილეს.

ახლახან ტონი კასკარინომ ირლანდიელ ჟურნალისტ პოლ კიმაჯთან ერთად ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა, რომელსაც „დასრულებული მატჩი: ტონი კასკარინოს ცხოვრების საიდუმლო" ჰქვია. ფეხბურთელის მთავარი საიდუმლო, აი, რა ყოფილა — ირლანდიელი ბაბუა, ვისი წყალობითაც ის ირლანდიის ნაკრებში თამაშობდა, თურმე მისი ნამდვილი ბაბუა არ ყოფილა და კასკარინოს ძარღვებში ერთი წვეთი ირლანდიური სისხლიც არ ჩქეფს.

„ეს ამბავი მეც მოგვიანებით გავიგე, დედამ მითხრა ოთხი წლის წინ — ამბობს ფეხბურთელი — მაგრამ მაშინ გაჩუმება ვამჯობინე. ახლა კი დამალვას აზრი აღარ აქვს". აღვნიშნოთ, რომ საიდუმლოს გაგების შემდეგ კასკარინომ 24-ჯერ ითამაშა ირლანდიის სახელით.

„ამის თაობაზე არაფერი ვიცოდი — გაოცებულია ირლანდიელთა ყოფილი მწვრთნელი ჯეკი ჩარლტონი — ერთი რამ კი ვერ გამიგია, რა საჭირო იყო ამაზე ლაპარაკი, ყოფილიყო ჩუმად".

კასკარინოს აღსარებამ ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციაც ჩაფიქრა. ფედერაციის ზოგი წევრი მოითხოვდა, კასკარინოსთვის ნაკრებში ჩატარებული შეხვედრები (თუნდაც ბოლო 24) უკანონოდ ჩაეთვალათ და მისი 88-მატჩიანი რეკორდი გაეუქმებინათ. ასე არ მომხდარა. ფედერაციის პრეზიდენტმა ბერნარდ ობრაიანმა უარი თქვა, კასკარინოსთვის „კეპები" ჩამოერთმია. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო ფიფამ. ამ ორგანიზაციის პრესმდივანმა ანდრეას ჰერენმა განაცხადა: „ეს ძველი საქმეა და არც იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ამხელა ყურადღება მივაქციოთ".



აბა, კანტონას ვთხოვოთ

ერიკ კანტონა

მარსელის „ოლიმპიკს" ახლა არ ულხინს: წინა სეზონში ქვედა ლიგაში გავარდნას ძლივს რომ გადაურჩა, წლეულსაც სახიფათო ზონასთან მეტად ახლოს ტრიალებს. სპორტო ქალაქის კლუბის მეპატრონეებსაც თავსატეხი გაუჩნდათ და კრიზისიდან თავის დაღწევის გზებს ეძებენ. მავან რობერ ლუი დრეიფუს, რომელიც კლუბის აქციათა პაკეტის უმეტეს წილს ფლობს, აზრად მოუვიდა „ოლიმპიკში" ერიკ კანტონა მიიწვიოს — მარსელში დაბადებულია და იქნებ სხვაზე მეტად კლუბისა მას გაეგებოდესო. ერთ-ერთი პოპულარული ფრანგული გამოცემა ირწმუნება, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილ ვარსკვლავს კლუბში მენეჯერის პოსტი შესთავაზეს. ამჟამად ამ თანამდებობაზე ერიკ დი მეკო მუშაობს, თუმცა შედეგებიდანაც ჩანს, რომ დაკისრებულ ამოცანას თავს ღირსეულად ვერ ართმევს და, ალბათ, მალე მოხსნიან. გათავისუფლება ემუქრება სპორტულ დირექტორ მარსელ დიბსაც.

რობერ ლუი დრეიფუ კანტონასთან შეხვედრას უახლოეს დღეებში აპირებს, რათა იგი „ოლიმპიკში" იხმოს, სადაც ფეხბურთელი წარსულში თამაშობდა. თუმცა მარსელელი კლუბის მეპატრონე ირწმუნება, კანტონა რომც მოვიდეს, მწვრთნელ აბელ ბრაგას, ალბათ, მაინც არ გავუშვებდითო. აი, პრესა კი საწინააღმდეგოს წერს და „ოლიმპიკის" მწვრთნელობის ორ კანდიდატს ასახელებს — „ოსერის" ყოფილ თავკაც გი რუსა და „პარი სენ ჟერმენისა" და ბილბაოს „ატლეტიკის" ყოფილ დამრიგებელ ლუის ფერნანდესს. თუმც ეს მხოლოდ ვარაუდია.

გავიხსენოთ ერიკ კანტონას სპორტული მიღწევებიც. იგი ორჯერ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი, ხუთჯერ — ინგლისის, აქედან ერთხელ „ლიდსის", ხოლო ოთხჯერ „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში. უთამაშია „ოსერში", მარსელის „ოლიმპიკში", „ბორდოში", „მონპელიეში", „ნიმში", „ლიდს იუნაიტედში" და „მანჩესტერ იუნაიტედში". საფრანგეთის ნაკრებში ჩაატარა 45 შეხვედრა, გაიტანა 20 გოლი. 1997 წელს საბოლოოდ გადაწყვიტა სათამაშო კარიერის დასრულება. ამჟამად 34 წლისაა, თავს ირთობს პლაჟის ფეხბურთით, ხანდახან კი კინოშიც იღებენ.

მათეუსსაც მოუნდა

სახელგანთქმული გერმანელი ფეხბურთელი ლოთარ მათეუსი სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა დროებით — ნიუ იორკის „მეტროსტარზი", რომლის ღირსებასაც იგი ამჟამად იცავს, ევროპაში ტურნეს მართავს. ამერიკელებმა რამდენიმე მატჩი ავსტრიაში ჩაატარეს, ახლა კი გერმანიას ეწვივნენ და დაბა ტროისდორფში დაბანაკდნენ, სადაც გუშინ პირველი ბუნდესლიგის კლუბ „კიოლნს" დაუპირისპირდნენ. ამხანაგური შეხვედრა კიოლნელებმა 2:1 მოიგეს.

თამაშამდე გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი თანამემამულე ჟურნალისტებს გაესაუბრა და თქვა: „იმ დონეზე თამაში აღარ შემიძლია, რომ ბუნდესლიგის რომელიმე წამყვან გუნდში ან თუნდაც სხვა ევროპულ სოლიდურ კლუბში გადასვლის პრეტენზია მქონდეს, თუმც ისიც ძალიან მინდა, დიდ ფეხბურთში ვიტრიალო. ამის ერთადერთი გზა ფეხბურთელობის შემდეგ სამწვრთნელო კარიერის დაწყებაა. ისე, რატომაც არა? აგერ რუდი ფიოლერი, ანდრეას ბრემე და მათიას ზამერი სულ ახლახან ჩემს გვერდით თამაშობდნენ, ახლა კი მწვრთნელები არიან. მათ შემზედვარეს მეც გამიჩნდა სურვილი, ამ საქმეს ხელი მოვკიდო."

ეს თამაშამდე, მატჩის შემდეგ კი 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა მედიას ეს უთხრა: „ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ არ არის გამორიცხული, ეს შეხვედრა ჩემს ხანგრძლივ კარიერაში ბოლო მატჩი იყოს. „მეტროსტარზთან" კონტრაქტი დამისრულდა, ამერიკელები ხელშეკრულების გაგრძელებას კი მთავაზობენ, მაგრამ პასუხი ჯერ არ მომიფიქრებია." ამ სიტყვებს მათეუსმა ერთობ ამბიციური განცხადება მოაყოლა — შორს არ არის ის დრო, როცა გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მე ვიქნები — თქვა მან.

ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, უახლოეს მომავალში მავანი გუნდის სათადარიგოთა სკამზე მთავარი მწვრთნელის ადგილი 39 წლის ლოთარ მათეუსმა დაიკავოს, მით უმეტეს, რომ ცოტა ხნის წინ მასზე თვით ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, ლოთარს ახლავე ეტყობა კოჭებში, დიდი მწვრთნელი გახდებაო.

შეგახსენებთ, რომ მათეუსი ეროვნული ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით მსოფლიოს რეკორდსმენია. მას ნაკრების მაისურა 150-ჯერ მოურგია. ეს ბოლოს გასულ ზაფხულს ბელგია-ჰოლანდიაში გამართულ ევრო 2000-ზე მოხდა.

პოომი აჯანყდა

მარტ პოომს ხასიათი შეეცვალა

პრემიერლიგის ბოლო გუნდს, „დერბი ქაუნთის", მძიმე ჟამი უდგას. ჩემპიონატის ლამის მესამედი მიილია და გუნდს ჯერ ერთი თამაში ვერ მოუგია, უიმედოდ დგას ბოლო ადგილზე და იქიდან დაძვრისა არაფერი ეტყობა. ჩვენთვის „დერბი" ხომ იმითაა საინტერესო, რომ იქ ვიორგი ქინქლაძე თამაშობს და უკვე მერამდენედ, გუნდი, რომელშიაც ქართველი ვარსკვლავი გამოდის, პრობლემების წინაშე დგას. „დერბიში" ახლა რთული ვითარებაა. უკვე თითქმის გადაწყვეტილია, რომ 60 წლის ჯიმ სმიტი გაისიდან მენეჯერი აღარ იქნება. მის შემცვლელად „ჰადერსფილდის" (ეს პირველ დივიზიონში ბოლო ადგილზე!) მწვრთნელ კოლინ ტოლს ვარაუდობენ.

ამ დღეებში კი ჯიმ სმიტს გუნდის ესტონელი მეკარე მარტ პოომი აუხირდა და მისგან მეტი მონდომება და სიმკაცრე მოითხოვა. 11 თამაშში გაშვებული 28 გოლის სრულ უმრავლესობას პოომი დაცვის უცოდინარობას კი არა, უპასუხისმგებლობას მიაწერს. მეკარე გაცხარებით ამტკიცებს, რომ „ლივერპულთან" 0:4 წაგებულ შეხვედრაში გუნდი დადგა. „შარშან ამ დროს — ამბობს ესტონელი — ცხრილში ბევრად მაღლა ვიყავით და უკეთაც ვთამაშობდით. ახლა, საკმარისია რაღაც არ გამოვიდეს, რომ ყველა დადგება ხოლმე. სამ-ოთხ თამაშში მართლა ბედმა გვიმუხლთა, მაგრამ დანარჩენი? ისეთებთან ვაგებთ, ვისი დანგრევაც შეგვიძლია. ყოველივე კი იმის ბრალია, რომ ვისაც რა უნდა, მოედანზე იმას აკეთებს, ანუ დგას და სხვას ელოდება." პოომს მიაჩნია, რომ მენეჯმენტი სრულ კრიზისშია და ასეთ ვითარებაში გუნდი ფეხბურთელებმა უნდა იხსნან. „ჩვენ უნდა ვთქვათ: NEVER SAY DIE (ცნობილი საფეხბურთო გამოთქმაა, რაც მარცხით გაუტეხლობას და მამაცურად თამაშს გულისხმობს) და თამაშისას ამ პრინციპს მივსდიოთ." სხვანაირად, „დერბი ქაუნთის" ვერაფერი იხსნისო — წუხს მარკ პოომი.

ხსნისკენ პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა: საშაბათს „დერბიმ" „მარსელის" მცველი ლილიან მარტინი შეიძინა. 29 წლის ფრანგი გუნდში სეზონის ბოლომდე დარჩება.

ირაკლი გამყრელიძე

ბებერი მგელი დასჭირდათ

სად არ წაიყვანს გაჭირვება კაცს. აგერ, „ინტერი" — რონალდოსა და კრისტიან ვიერის უიღბლო პატრონი — ბრაზილიიდან რომარიოს ჩამოყვანას ლამობს.

თავიდან მოვყვეთ. რონალდომ მუხლი თითქოს მოირჩინა, მაგრამ კიდევ ბევრი დრო გავა, სანამ ის მინდორზე დაბრუნებას შეძლებს (თუ საერთოდ შეძლო). კრისტიან ვიერიმ ვარჯიში დაიწყო, მაგრამ ფორმას საბოლოოდ როდის აღიდგენს, არავინ იცის. არადა, „ინტერი" ის გუნდი არაა, ცდა შეეძლოს.

ოკეანის გაღმა კი 34 წლის რომარიო სასწაულებს ჩადის — ერთ-ერთი ბომბარდირია ჟოაო აველანჟის თასად წოდებულ ბრაზილიის ჩემპიონატში, ხოლო ორ სანაკრებო მატჩში შვიდი გოლი გაიტანა. ჰოდა, რა გასაკვირია, მილანელებს ახალგაზრდა, მაგრამ დამტვრეულ რონალდოს ბებერი მგელი რომარიო ერჩივნოთ.

„ინტერში" თქვეს: თუ ახალ წლამდე ვიერი ძველებურად ვერ ათამაშდა, რომარიოს უეჭველად ჩამოვიყვანთ.

შეგახსენებთ, რომ აქამდე „ინტერს" „ლაციოდან" ჩილელი მარსელო სალასის გადაბირება ჩაეშალა, ხოლო რომარიო ევროპას კარგად იცნობს — აქვე ხომ „ეინდჰოვენსა" და „ბარსელონაში" თამაშობდა.

ფეხბურთის რუბრიკა

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა რივალდომ უახლოეს მომავალში შესაძლოა ორმაგი მოქალაქეობა მიიღოს. შესაბამისი თხოვნით „ბარსელონას" ნახევარმცველმა შესაბამის უწყებებს უკვე მიმართა. „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ხშირად მიწევს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა, რაც არაევროკავშირელთათვის გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული" — ასეთია მისი თხოვნის საფუძველი. ცნობილია, რომ რივალდოს გაესპანელებით „ბარსელონაც" ძალიან არის დაინტერესებული. ესპანეთის ჩემპიონატში ხომ სამი არაევროკავშირელი თამაშია ნებადართული, ამიტომაც თუ რივალდო ესპანეთის მოქალაქეობას მიიღებს, კლუბს ერთი ადგილი გამოუთავისუფლდება. ესპანეთის მოქალაქე რომ გახდე, ამ ქვეყანაში 5 წელი მაინც უნდა ცხოვრობდე, რივალდო კი „ბარსაში" 1995 წლიდანაა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია „არსენალი" — „მანჩესტერ სიტის" მატჩში ტიერი ანრისა და სპენსერ პრიორს შორის მომხდარ ინციდენტს განიხილავს და მოსალოდნელია, ფრანგი უხეშობისთვის დასაჯოს. მსაჯმა რობ სტაილსმა ვერ შეამჩნია, როცა ანრიმ პრიორს უთავაზა, სადისციპლინო კომიტეტს კი არაფერი გამოჰპარვია და საქმესაც განიხილავს.

ფრანგი მწვრთნელი ჟერარ ულიე შეშფოთებულია იმით, რომ ტიტი კამარა „ლივერპულიდან" წასვლას აპირებს. ფორვარდი ტრავმის შემდეგ მომჯობინდა, მაგრამ წინა კვირას უეფას თასის მატჩზე სასტარტო შემადგენლობაში ვერ მოხვდა. „კამარამ გაამხილა, რომ უკმაყოფილოა, მე კი ავუხსენი, რომ 10 დღე მაინც სჭირდება, რათა ჩვეულ ფორმაში ჩადგეს. მას კიდევ ერთხელ გავესაუბრები და ვეცდები დავარწმუნო, კლუბიდან არ წავიდეს" — განაცხადა ულიემ. შეგახსენებთ, რომ კამარა „ლივერპულში" შარშან ივნისში ჩაირიცხა, 24 შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 10 გოლი გაიტანა, ახალ სეზონში კი ჯერჯერობით არ უთამაშია.

შოტლანდიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები — ლუ მაკარი და ჯო ჯორდანი ამიერიდან ინგლისის პირველდივიზიონურ „ჰადერსფილდს" უხელმძღვანელებენ. 51 წლის მაკარი გუნდს 16 ოქტომბრის შემდეგ დროებით თავკაცობდა, მაშინ მწვრთნელის პოსტი სტივ ბრიუსმა დატოვა. 48 წლის ჯორდანს კი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში" მაკარის თანაგუნდელი გახლდათ, აქამდე „ბრისტოლ სიტი" და „ჰართსი" გაუწვრთნია. ტანდემს მეტად რთული სამუშაო ელის — „ჰადერსფილდი" ცხრილში ბოლო ადგილზეა, ვინაიდან 15 თამაშში მხოლოდ ერთხელ იმარჯვა.

ამერიკელი მეკარე ბრედ ფრიდელი „ლივერპულიდან" „ბლექბერნ როვერსში" აპირებს გადასვლას. 29 წლის ფეხბურთელს კლუბში შარშან ოქტომბრის შემდეგ არ უთამაშია. ახლა მას ბრიტანეთის სამუშაო ვიზაც აღარ გაუგრძელეს, თუმცა „ბლექბერნმა" აპელაცია შეიტანა და იმედოვნებს, რომ მის მოთხოვნას დააკმაყოფილებენ. „როვერსის" თავკაცმა გრეგ სუნესმა, რომელიც ადრე „ლივერპულს" წვრთნიდა, განაცხადა: „შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ ივარგებს, ფრიდელი უნდა გადმოვიბიროთ".

ჩილელმა ნახევარმცველმა კლარენს აკუნიამ განაცხადა, რომ დოპინგის გამოყენების გამო მისჯილი დისკვალიფიკაციის ვადის, ოთხი თვის გასვლის მიუხედავად, 15 ნოემბერს არგენტინის წინააღმდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩში არ ითამაშებს. „ნიუკასლ იუნაიტედ" ახლახან შეეუერთდი და გამართლებული არ იქნება, გუნდი კვლავ დავტოვო. თუმცა ნაკრებში თამაშზე უარს არ ვამბობ, მარტიდან ერთვული გუნდსაც დავეხმარები" — განაცხადა ფეხბურთელმა, რომელიც „ნიუკასლში" ორი კვირის წინ „უნივერსიდად დე ჩილედან" გადავიდა და წინა შაბათს „ვესტ ჰემის" წინააღმდეგ სადებიუტო მატჩიც ჩაატარა.

ბრაზილიელ მეკარე კლაუდიო ტაფარელს ჩემპიონთა ლიგაში გრაცის „შტურმის" წინააღმდეგ თამაში სურს, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა აწუხებს და ექიმები ამას არურჩევენ. „შეუძლებელია, მან ითამაშოს" — აცხადებენ ექიმები, თუმცა გოლკიპერი შეუვალია — „ტრავმა არ მადარდებს. ბომეცით მინდორზე გასვლის უფლება. „შტურმის" წინააღმდეგ მატჩი სეზონში ერთ-ერთი უჭრინციპულესია და არ შემიძლია, ამ დროს ვიჯდე და ჩემს თანაგუნდელებს ტრიბუნიდან ვუყურო". ტაფარელი სტამბოლურ დერბიში, ბეშიქთაშელ პასკალ ნუმასთან შეტაკებისას დაშავდა. ექიმთა განცხადებით, მან თვეზე მეტ ხანს უნდა დაისვენოს. „მონაკოს" წინააღმდეგ კარში სარეზერვო მეკარე ქერემი ამიტომაც ჩადგა.

შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ შეიძლება ჰენრიკ ლარსონი დასაჯოს, რადგან მან „სელტიკისა" და „მოზერუელის" შეხვედრის არბიტრი ჰიუ დალასი საჯაროდ გააკრიტიკა. „ვცდილობთ პრემიერლიგის ლიდერობა შევინარჩუნოთ, ამაში კი ცუდმა მსაჯობამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს. ვიდეოფირზე ჩანს, რომ იოჰან მიალბის გატანილი გოლი არბიტრს უნდა ჩაეთვალა" — განაცხადა შვედმა ფეხბურთელმა.

შვედი ფეხბურთელები — ნადირ ბენჩენა და ფრედერიკ სტაიორი „მანჩესტერ იუნაიტედში" ისინჯებიან და შესაძლოა ინგლისის ჩემპიონთა ახალგაზრდულ გუნდში ჩაირიცხონ. ორივე ფეხბურთელი 16 წლისაა. ისინი „ჰამარბიში" თამაშობენ და კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებთ.

ბრაზილიური „პალმეირასის" 21 წლის ნახევარმცველი ლოპესი კოკაინის ხმარებაში ამხილეს. 14 ოქტომბერს „ატლეტიკო მინეიროსთან" 3:2 მოგებული მატჩის შემდეგ გადამწყვეტი, მესამე გოლის გამტანი ლოპესი დოპინგის ანალიზების გასაკეთებლად წაიყვანეს. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ფეხბურთელის სისხლში კოკაინის კვალი იპოვეს. ახლა მას 29-დღიანი დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი, რომელსაც, როგორც ვარაუდობენ, სადისციპლინო კომიტეტი მინიმუმ ერთ წლამდე გაზრდის. „პალმეირასს" კი იმ მოგებულ მატჩში 0:3 მარცხი ჩაეთვალა.

აქაც რეკორდსმენი იყო...

ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა ყოფილი არსენალელი ჯორჯ არმსტრონგი. ბოლო ათი წელი ის „არსენალის" სარეზერვო გუნდის მწვრთნელად მუშაობდა და 56 წლის იყო.

კლუბის განცხადებაში ნათქვამია: „ჯორჯ არმსტრონგი ბრწყინვალე ფეხბურთელი და მწვრთნელი იყო. ის უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა კლუბში, როგორც პატიოსანი და უტეხი სულის მქონე პიროვნება."

გუშინ ინგლისის ლიგის თასის მატჩისას, რომელშიც „არსენალი" — „იფსვიჩს" მასპინძლობდა, ლონდონელები შავი სამკლავურებით გავიდნენ, ხოლო ტრიბუნებზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილის ხსოვნას.

ჯორჯ არმსტრონგი 1961-77 წლებში თამაშობდა „არსენალში", მერე კი „ლესტერში" გადავიდა. 16 არსენალური სეზონის მანძილზე მან 621 მატჩი გამართა, რაც იმ დროისთვის სარეკორდო იყო. დღემდე მხოლოდ ორმა არსენალელმა შეძლო რეკორდის გაუმჯობესება: „ლიდსის" ამჟამინდელმა მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ (722) და ტონი ადამსმა (624). 1970 წელს არმსტრონგმა „არსენალთან" ერთად ინგლისის ჩემპიონატი, თასი და ბაზრობათა თასი (ახლანდელი უეფას თასი) მოიგო.

ღმერთის ხელი მეფეს მოხვდა

მე, დიეგო — ასე ჰქვია დიეგო არმანდო მარადონას ამას წინათ გამოცემულ წიგნს, რომელშიც_ თუმცა წიგნი წიგნია, გაზეთი კი გაზეთი. ჰოდა, ორი დღის წინ 40 წლის შესრულებული არგენტინელის ნაშრომს მთლიანად ხომ ვერ მოვყვებით? ამიტომ დღეს მხოლოდ ერთ თემას შევეხებით: მარადონა და პელე.



„მე, დიეგოს“ პირველი მკითხველი თავად დიეგო იყო

წიგნში მარადონა არა მხოლოდ თავის ფათერაკებიან ცხოვრებას აღწერს, არამედ ფეხბურთის გამოც მსჯელობს. კერძოდ, წიგნში გამოქვეყნებულია მარადონას აზრით მსოფლიოს ასი საუკეთესო ფეხბურთელის სია, რომელსაც ფეხბურთის მეფედ აღიარებული პელე უდგას სათავეში.

პელე, დიეგოს თქმით, როგორც ფეხბურთელი უნაკლო იყო, თუმცა არასოდეს ყოფილა ლიდერი და რაც უარესია, ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინა ფეხბურთის განვითარებაზე, ვერც მისი პრესტიჟი აამაღლა და ვერც რაიმე შემატა ფეხბურთელთა უკეთ ცხოვრების საქმეს. ესეც არ იყოს და პელეს ვაჟკაცობისა და ადამიანურობის ბევრი არაფერი სცხიაო — ამბობს მარადონა — ჩემი საყვარელი ფეხბურთელი ბიჭობაში მამათმავალი იყო, კაცობაში კი ხელი არ გაანძრია, რათა ფეხბურთის ნამდვილი გენიოსი გარინჩა სიღატაკეში სიკვდილისგან ეხსნაო.

მარადონას ცნობით, მამათმავლურ ამბავში პელე „სანტოსის“ ახალგაზრდული გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელთან ამხანაგობდა და მისი ეს გატაცება 60-იან წლებში ბევრმა იცოდა (რამდენიმე წლის წინათ პელემ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, პირველი სქესობრივი კავშირი მამაკაცთან მქონდა, მაშინ „ბაურუდან“ „სანტოსში“ ახალი გადასული ვიყავიო).

ამ ფაქტზე პელეს არაფერი უთქვამს. იგი არ გამოხმაურებია მთელს ლათინურ ამერიკაში კატასტროფული სისწრაფით გაყიდულ წიგნს (აქ ის უნდა ითქვას, რომ მამათმავლობა, თუკი სადმე არ არის სირცხვილი, ბრაზილიაში. ოღონდ ამას ერთი ის უხერხულობა ახლავს, რომ ფეხბურთელთა მსოფლიო თემში მოთამაშის პედერასტობა ძალიან ცუდ ტონად და, უბრალოდ რომ ვთქვათ, არაკაცობად ითვლება. ერთი ხელის თითებიც არ უნდა მამათმავალი ფეხბურთელების ჩამოთვლას, თუმცა ამ მხრივ ბრაზილია გამონაკლისიც შეიძლება იყოს. თუნდაც გარემარბ რენატოს ისტორია გავიხსენოთ). სამაგიეროდ, მეფეს მრავლად გამოუჩნდნენ დამცველები და მარადონას ერთი ქოქოლა დააყარეს — შე ნარკომანო, სარკეში ჩაიხედეო. ბევრმა გაიხსენა დიეგოს და მისი თანაგუნდელი ძმაკაცის, კლაუდიო კანიჯას ამბავი. გოლის გატანის შემდეგ ხომ ისინი შეყვარებულებივით ეხვეოდნენ ერთმანეთს და ტუჩებში კოცნიდნენ (კანიჯას ცოლმა მაშინ თქვა, ძმაკაცობა გამიგია, მაგრამ ასეთი არაო). ეს ისტორია ორი „ბოკელის“ შოუდ დარჩა, პელეს დუმილის მიზეზი კი მისმა მეგობარმა ჟურნალისტმა სელსო გრელეტმა ახსნა თავის სულ ამ დღეებში გამოსულ წიგნში „პელე, მისი ცხოვრება და დრო“. გრელეტმა თავის ახალ წიგნს „მე, დიეგოს“ გამოსვლის შემდეგ დაუმატა რამე-რუმეები. ამ რამე-რუმეებში პელეს დუმილი მის ჰომოსექსუალიზმთან დაკავშირებით მისი დიდბუნებოვნობით ახსნა: „პელე კეთილი კაცია. მან იცის, რომ მარადონა მძიმე ავადმყოფია და ვერა და ვერ მოშორდა კოკაინს. ამიტომ პელე არ აპირებს მასთან კამათს საკუთარი წარსულის შესახებ, რომელიც, რა თქმა უნდა, თვითონ უკეთ იცის, ვიდრე ავადმყოფმა. პელე ანტინარკოტიკული მოძრაობის აქტიური წევრია, მარადონა კი — ნარკომანი. განსხვავებაც მათ ზნეობას შორის ეს გახლავთ. ესეც არ იყოს და, პელეს ძალიან უყვარდა მარადონა-ფეხბურთელი და მასზე ლაპარაკისას ურჩევნია მისი თამაში გაიხსენოს, ვიდრე ავადმყოფობა“.

მოკლედ, გრელეტი ამბობს, რომ მარადონას სერიოზულ კაცად არავინ თვლის, მარადონა კი თავის წიგნში სვამს კითხვას: როგორი უნდა ყოფილიყო პელე, რომ მისი გენიალური თამაშის შემხედვარეს მისგან მეტი აღარაფერი მომეთხოვა? არგენტინელი თვლის, რომ უმჯობესი იქნებოდა, პელეს ფეხბურთელთა ავტორიტეტის ზრდაზე ეფიქრა, სათავეში ჩადგომოდა პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციას, ებრძოლა უფლებებისთვის, რომლებიც მოთამაშეებმა მის გარეშე მოიპოვეს, დარჩენილიყო ფეხბურთში და ყოფილიყო იმ თამაშის ნაწილი, რომელმაც ამდენი მისცა. „ის დიდებული იყო, განუმეორებელი, მაგრამ მისი ფეხბურთში ყოფნით არაფერი შეცვლილა, არც თამაშში და არც ცხოვრებაში“ — წერს მარადონა.

და გარინჩა... „პელე და გარინჩა არასდროს ყოფილან დიდი მეგობრები. ამის მიუხედავად, ციროზით გარდაცვლილი მანეს დაკრძალვაზე ათიათასობით კაცი აჰყვა ვიღაცის შეძახილს — პელე, შენ აქ უნდა იყო! და მაშინ უამრავი ხალხი კუბოსკენ იშვერდა ხელს. იქ არავის დაუძახია, ნილტონ სანტოს, აქ უნდა იყოო. თუნდაც იმიტომ, რომ თავად ნილტონი იქ იყო, მგლოვიარეთა შორის. ეს ისტორიაა. არათუ დახმარება, პელემ უკანასკნელი პატივიც კი არ გაიმეტა გარდაცვლილი კოჭლი კაცისთვის“.

მარადონამ თავისი გააკეთა. მან დაწერა, რასაც ფიქრობდა და პელემ არ უპასუხა. თუმცა პელე, კარგა ხანია, სხვა კატეგორიის ადამიანებს მიაკუთვნებს თავს და ფეხბურთზე მხოლოდ მაშინ დაიარება, როცა დაპატიჟებენ ან ორიოდე ზოგადი კომენტარისთვის ჰონორარს სთავაზობენ (მაგალითად, „ოლდ ტრეფორდზე“ თქვა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კარგი გუნდია, განსაკუთრებით ოუენი მომწონსო).

მარადონა კი მწვრთნელად მუშაობას იწყებს — ფეხბურთელობისას ბევრი რამ მოვიგე და მწვრთნელობაშიც რაღაც უნდა გამოვიდესო.

ირაკლი გამყრელიძე

დაბადებიდან მეორმოცე წლისთავი დიეგომ მხიარულად აღნიშნა

ჩვენი დროის პავლიკ მოროზოვი


ვანდერლეი ლუქსემბურგო

გეხსომებათ, ბრაზილიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ვანდერლეი ლუქსემბურგოს თანამდებობიდან მოხსნა არ აკმარეს და უამრავ ცოდვაში ამხილეს. რომელი ერთი ვთქვათ: ასაკის გაყალბება, შემოსავლების დამალვა, უკანონო სატრანსფერო გარიგებებში მონაწილეობა, კოკაინი, მეუღლის ღალატი...

სამშაბათს ლუქსემბურგო პროკურატურაში იჯდა და რამდენიმე საათის განმავლობაში გამომძიებლის კითხვებზე პასუხობდა — ჯერჯერობით მხოლოდ ასაკის თაობაზე.

ლუქსემბურგო პასპორტით 45 წლისაა, მაგრამ გამომძიებელმა არ დაიზარა, ვანდერლეის მშობლიურ სკოლას მიაკითხა და არქივში ძველი საბუთები ამოქექა. გაირკვა, რომ მას სამი წელი დაუკლია.

ბრაზილიური კანონებით, დოკუმენტების გაყალბება ერთიდან ხუთ წლამდე პატიმრობით ისჯება.

ლუქსემბურგომ ასაკის დაკლება აღიარა, მაგრამ თითი თავისი მამისკენ გაიშვირა: „1967 წელს მამამ „ბოტაფოგოში“ მიმიყვანა. მაშინ 15 წლის ვიყავი და კლუბის ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში აღარ მიღებდნენ, დიდი ხარო. ჰოდა, მამაჩემმა სამი წელი დამაკლო და „ბოტაფოგოში“ აღმოვჩნდი. აი, დამნაშავე კი არ ვარ — იმ დროს არასრულწლოვანი გახლდით და პასუხისმგებლობა როგორ უნდა დამეკისროს, მით უმეტეს, რომ ყველაფერი მამაჩემმა გააკეთა“.

ეგრე არ არის, ფიფაო...

ზეპ ბლატერმა ბრაზილიას ულტიმატუმი წაუყენა: ან ხელისუფლება შეწყვეტს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ჩარევას, ან უმკაცრესი სასჯელი — მოკვეთა. ისიც ვიცით, რომ ფიფას ასეთ საკითხებში ხუმრობა არ უყვარს, რისი დასტურიც გასულ კვირაში ტანზანიის გარიცხვა გახლავთ. აფრიკელთა შემთხვევაშიც მიზეზი ანალოგიური იყო.

რა გამოდის? გამოდის, რომ ნუ გადაიხდით გადასახადებს, გქონდეთ შავი სალარო, გაყიდეთ მოზარდი ფეხბურთელები მონათა ბაზარზე — ყველაფერი შეგრჩებათ, თუ ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობთ და ზეპ ბლატერის კალთას ხართ ამოფარებული, რადგან ფიფას ჰგონია, რომ ის არის უმაღლესი ინსტანცია და მისი ერთი სიტყვაც საკმარისია მსოფლიო მთავრობების შესაშინებლად.

ტანზანიამ უარი თქვა ფიფას მოთხოვნის შესრულებაზე და ციხიდან არ გაუშვა თაღლითობაში მხილებული ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი და გენერალური მდივანი. გუშინ საღამოს იგივე გააკეთა ბრაზილიამაც და სპეციალური საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელის, კონგრესმენ ალდო რიბეროს პირით განაცხადა: „ძიებას განვაგრძობთ და ბრაზილიურ ფეხბურთში გამეფებულ კორუფციას აღმოვფხვრით. ასევე ბოლოს მოვუღებთ ბრაზილიელი მოზარდების უცხოეთში კაბალური პირობებით გაყიდვასაც. მეტი დანაშაული რა უნდა იყოს — ბავშვების მშობლებს ხელს აწერინებენ უცხო ენაზე შედგენილ კონტრაქტებზე, რომელთა შინაარსიც მათ არ იციან, შემდეგ კი ეს ბავშვები ქუჩაში აღმოჩნდებიან ხოლმე და შინ დასაბრუნებელი ფულიც არ აქვთ. და ამ დროს ფიფას პრეზიდენტი ამბობს, რომ ჩვენ საფეხბურთო საქმიანობაში ვერევით. ბლატერს ან წარმოდგენა არა აქვს, რაზე ლაპარაკობს, ან ცუდად არის ინფორმირებული და ვთხოვთ, კარგად გაერკვეს საქმეში. მოკვეთით გვემუქრებით? ვნახოთ, მსოფლიოს ჩემპიონატის უბრაზილიოდ გამართვისთვის წაგებული ვინ დარჩება“.

ჩილავერტი დაგვიბრუნდა

აწი „სტრასბურის“ ჯარიმებს უფრთხილდით

ხოსე ლუის ჩილავერტი, „სტრასბურის“ პრეზიდენტი პატრიკ პრუაზი და მწვრთნელი დანიელ ლერუა გუშინდელ პრეზენტაციაზე

პარაგვაელმა მეკარემ ხოსე ლუის ჩილავერტმა „სტრასბურთან“ ორნახევარწლიანი კონტრაქტის პირობები შეათანხმა და აწი კარიერას საფრანგეთში გააგრძელებს. „ახალ გუნდში წარმატებას უნდა მივაღწიო. ისე, გული მწყდება, არგენტინა რომ მივატოვე. ბედნიერი ვიქნები, თუ „ველეჟის“ პრეზიდენტი გუნდში პირველნომრიან მაისურას აღარავის მისცემს“ — თქვა გუშინ მეკარემ, ვინც აწი სტრასბურელ გულშემატკივარს 32-ე ნომრით გაახალისებს. ჯარიმის უბადლო შემსრულებელი, რომელსაც კარიერის მანძილზე 50 გოლზე მეტი გაუტანია, აქამდე სწორედ არგენტინული „ველეჟ სარსფილდის“ ღირსებას იცავდა.

ჩილავერტი ბრუნდება ევროპაში, სადაც მას ადრე „სარაგოსაში“ უთამაშია. სააგენტოები იუწყებიან, რომ „სტრასბურმა“ მეკარის სანაცვლოდ დაახლოებით 3 მილიონი დოლარი გადაიხადა. ფრანგული კლუბი იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო, რადგან ბოლო 13 მატჩში უკვე 30 გოლი გაუშვა და ცხრილის ფსკერისკენ დაეშვა. 13 თამაშში ამდენი ბურთი კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არც ერთ ფრანგულ პირველდივიზიონურ გუნდს არ გაუშვია.

ნიკა შუბლაძე

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

ბათუმში
კვლავ გაიხსნა «კროკოს» ბიურო ახალ მისამართზე:
მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

ქუთაისში მალე კვლავ ამუშავდება კროკოს ბიურო ძველ მისამართზე:
პუშკინის №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)

კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

გაითვალისწინეთ გარემოებები

მასტერსის სერია — შტუტგარტი. გერმანია. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 3 მილიონი $

ორ თვეზე მეტი პაუზის შემდეგ, რომელსაც იძულებითი შესვენება უფრო ეთქმოდა, ანდრე აგასი შტუტგარტში დაუბრუნდა ასპარეზობას. აქამდე უკანასკნელი მატჩი მან აშშ-ის ღია პირველობის მეორე წრეში, ჯერ კიდევ აგვისტოს ბოლოს გამართა არნო კლემანთან.

„ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე ერთი სული მქონდა, როდის ვითამაშებდი, ჩვეულებრივ ჩოგბურთის ყველაზე მოსაწყენი ნაწილის, ხანგრძლივი მოგზაურობის წინაც კი არ გამქრობია ხალისი, რაც თავისთავად კარგი ნიშანია“ — განაცხადა ხოტორა ლასვეგასელმა.

ანდრე აგასი

გაჭიანურებული შესვენების მიზეზი ოჯახური, ოღონდ სამპრასისგან განსხვავებით, მეტად უსიამოვნო გახლდათ: აგასის დედას, ელიზაბეტსა და დას, ტემის, სიმსივნე თითქმის ერთდროულად აღმოუჩინეს და ანდრეაც ამ მძიმე წუთებში მათ გვერდით ყოფნა არჩია. ამერიკელი ამის გამო სიდნეის ოლიმპიადაზეც არ გაუმგზავრა.

„გარემოებათა გათვალისწინებით, ყველაფერი შესანიშნავად მიდის“ — უპასხა აგასიმ ჟურნალისტებს, როდესაც დედისა და დის ჯანმრთელობის მდგომარეობა ჰკითხეს.

ზუსტად იგივეს თქმა ლასვეგასელის ფორმაზეც შეიძლებოდა. სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის მიუხედავად, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მშვენივრად ითამაშა და პირველ წრეში შვედ ტომას იოჰანსონს იოლად მოუგო — 6:4, 6:2.

„თავადაც არ ველოდი, კორტზე ისე კარგად გამოვიყურებოდი. სასიამოვნო იყო მატჩის წინ მცირე ნერვიულობის შეგრძნება. სეზონის დარჩენილ ნაწილში შევეცდები, ძველებური ფორმა აღვიდგინო, რათა გაისად დიდი სლემის ტურნირებზე გამოვიჩინო თავი“ — აღნიშნა აგასიმ, რომელსაც ტრიბუნებიდან გელფრენდი, ლეგენდარული შტეფი გრაფი ქომაგობდა.

პირველი წრე: რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — ალბერტო მარტინი (სპანეთი) 6:2, 6:4; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:3, 7:6 (7:4); ბრეგ რუზედეკი (ინგლისი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:1, 6:2; არნო კლემანი (საფრანგეთი) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:2, 1:6, 6:4; დუმინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — კარლოს მოია (სპანეთი) 6:3, 3:6, 6:2; სებასტიან ბროსტანი (საფრანგეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:4, 6:2; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ჯან-მაიკლ გემბილი (აშშ) 7:6 (7:3), 1:0 — ტრავმა.

მამის დღეობაზე შვილი ითამაშებს

პეტერ კორდა კორტს უბრუნდება

საყვარელ საქმიანობასთან გამოთხოვება ძალიან ძნელია. აი, პეტერ კორდაც თითქოს ერთხელ და სამუდამოდ წავიდა გასულ ზაფხულს დიდი სპორტიდან, თანაც საკმაოდ საკამათო და დამამცირებელ გარემოებებში, თითქოს უკან მოხედვის სურვილიც აღარ უნდა გასჩენოდა, მაგრამ...

„ყველა მეუბნება, ეს არ გავაკეთო, მაგრამ რა ვქნა, ჩოგბურთი ისევ სასიამოვნო და საინტერესო გახდა ჩემთვის“ — განუცხადა ჩეხეთის ყველაზე პოპულარულ ყოველდღიურ გაზეთ „მლადა ფრონტა დნეს“ 32 წლის ჩოგბურთელმა. დეკემბერში ის პრაღაში, ATP-ის ერთ-ერთ მეორეხარისხოვან, „ჩელენჯერულ“ ტურნირზე ითამაშებს.

ძვალტყავა ტანისა და ზღარბივით აჩეჩილი თმების გამო „ადამიან-კბილის ჯაგრისად“ წოდებულმა ჩეხმა 1998-ში თავისი პირველი და ერთადერთი დიდი სლემის ტურნირი, ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო, თუმცა მეცხრე ცის ნაცვლად იმავე ზაფხულში დოპინგ-სკანდალში აღმოჩნდა გახვეული. უიმბლდონზე ჩეხს აკრძალული ნივთიერება ნანდროლინი აღმოუჩინეს.

კორდამ ათას ინსტანციაში იჩივლა და იბრძოლა, ბოლომდე საკუთარ უდანაშაულობას ამტკიცებდა, თუმც ერთწლიან დისკვალიფიკაციას და საპრიზოებად მოპოვებული 660 ათასი დოლარის უკან დაბრუნებას მაინც ვერ გადაურჩა. 1999-ში ის ერთხელაც გამოჩნდა „ოლ ინგლენდ კლაბში“, ამჯერად საკვალიფიკაციო ტურნირიდანაც ვერ გააღწია და პენსიონერთა რიგებს შეუერთდა.

ამაზე წერტილის დასმაც შეიძლებოდა, ორიოდ დღის წინ ჩეხს პრაღაში თამაშის სურვილი რომ არ გამოეთქვა, 5 დეკემბერს მამაჩემის დაბადების დღეა და იქ გამოსვლის ცდუნება ერთობ დიდიაო.

„ამ გადაწყვეტილებას დოპინგთან კავშირი არა აქვს, არავისთვის არაფრის დამტკიცება არ მსურს. მამაჩემი 60 წლის ხდება და ამაზე უკეთეს საჩუქარს ვერ მივუძღვნი“ — განაცხადა ინტერვიუში ჩოგბურთელმა.

„ამ წუთისთვის ჩელენჯერზე ასპარეზობის გარდა არაფერს ვგეგმავ, თუმც დიდ ჩოგბურთში დაბრუნებასაც არ გამოვრიცხავ. ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

სამპრასმა კორტზე უკანთმესი ადგილი იპოვა



პიტ სამპრასმა ჩოგანი გადადო და ხელი ცოლს მოხვია

უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი პიტ სამპრასი მეუღლის მოვალეობას ყველა სხვა ვალდებულებაზე წინ აყენებს: საჩოგბურთო კლასიფიკაციაში მდგომარეობის გაუმჯობესებაგანმტკიცებას მან არჩია, თაფლობის თვე გაეორმაგებინა.

„სეზონის ბოლო ორი მასტერსის სერიის ტურნირზე შტუტგარტსა და პარიზში ვერ ვითამაშებ, ისევე, როგორც ლიონის პირველობაზე“ — ყოველგვარი მიზეზების დაზუსტებისა და მობოდიშების გარეშე განაცხადა პიტმა ამ რამდენიმე დღის წინ.

„გვესმის, რომ მას პირადი მიზეზები აქვს ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა ძალიან ვწუხვარ, რომ ის არ ითამაშებს“ — ეს უკვე ATP-ის თავკაცის ლარი სკოტის სიტყვებია.

„პისტოლ პიტმა“ სექტემბრის ბოლოს ლოს ანჯელესში მსახიობ ბრიჯიტ უილსონზე იქორწინა და ამ მიზეზით აქამდეც მოასწრო, ვენის ტურნირის ორგანიზატორებს დასწყვიტა გული. სამაგიეროდ, სამპრასის გულშემატკივრებს სეზონის დამაგვირგვინებელ, ATP-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც შეეძლებათ თავიანთი კერპის ხილვა.

„მოუთმენლად ველი „მასტერსის თასზე“ შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვას ლისაბონში, 2001 წლის დასაწყისს კი ავსტრალიაში სრულ მზადყოფნაში შევხვდები“ — აღნიშნა ამერიკელმა.

ავთანდილ სვანიძე



REUTERS ნიუ იორკიდან

ლენოქს ლუისი ტუას გასალახად ნიუ იორკში ემზადება

ფიქრი აჩრდილზე

ტაისონი ლუისს ნიუ იორკში დაადგა

არა, ლენოქს ლუისი ტაისონს თავიდან ვერასდროს მოიშორებს. რკინის მაიკის აჩრდილი რინგზე კი არა, საპრესკონფერენციო დარბაზშიც დასდევს. არადა, რა დროს ტაისონია, WBC-ის და IBF-ის მძიმეწონოსან ჩემპიონს 11 ნოემბერს დავიდ ტუასთან უწევს ჩხუბი.

ამასთან დაკავშირებით ლუისს ნიუ იორკის ცენტრში, მანჰატენში, 42-ე ქუჩაზე, მდიდრულად მოკაზმულ „გრენდ სენტრალ სტეიშენის“ ვეება ოთახში შეკრებილი დაახლოებით 300 კაცი ესაუბრებოდა. მთისა, ბარისა... და უცბათ, სულ ბოლოში, დაახლოებით სამასმეერთე კაცად ვიღაცამ ტაისონი შენიშნა.

„ის ტყავის შავ ქურთუკში იყო გამოწყობილი, თავზეც შავი კეპი ეხურა. თვალი მოკკარი და გავეშურე, ვიფიქრე, ხალხის დასანახად გამოვიყვანმეთქი, მაგრამ უარი მითხრა: არ ვლაპარაკობ, არ ვლაპარაკობ“ — ასე აღწერა აჩრდილის ამბავი ბრაიან ლიტლმა, რომელიც „მედია უორქზის“ პრესატაშედ მუშაობს.

ლუისი კი, ამასობაში, სკამზე მოშვებით მოკალათებულიყო. ჰკითხეს, როგორ ფიქრობთ, ტაისონი რატომ მოვიდაო. მან უპასუხა:

„მისთვის გამოცანა ვარ და ცდილობს ამომხსნას“ — შემდეგ ღიმილით დაამატა — „ტაისონის აქ გამოჩენა ჩემთვის დიდი პატივი იყო“.

ლუისმა ტაისონზე ბევრი რამ სხვაც თქვა. მაგალითად, მას მერე, რაც ჰოლიფილდთან დამარცხდა ჩემთვის მისი საიდუმლო აღარ არსებობსო... ვერ წარმომიდგენია ძალ-ღონე ისე მოიკრიბოს რომ გამლახოსო... სამაგიეროდ დიდი წარსულის და სახელის კაციაო... ეჭვი არ მეპარება, ადრე თუ გვიან გამომიწვევსო...

დღეს ილაპარაკო ტაისონზე და არ გაიხსენო, როგორ გაექცა რინგიდან ორიოდ კვირის წინ პოლონელი ანჯეი გოლოტა, შეუძლებელია.

„ხომ იცით, მე ის კაცი არ ვარ, ბრძოლიდან პატარა ნაკაწრის გამო რომ გაიპარება“ — თქვა ლუისმა — „გარწმუნებთ, ასეთ რამეს არც მე და არც ჩემი ახლანდელი მეტოქე დავიდ ტუა არ ვიკადრებთ. ტუა ნამდვილი მებრძოლია.“

ცნობისთვის: 11 ნოემბერს ლუისი 10 მილიონ დოლარს მიიღებს, ტუა 4-ს.

ერთი სიტყვით, ლუისმა ტუა ძალიან აქო. ჩვენი ბრძოლა ღირსეულთა ჭიდილია, ტაისონს კი ვერ დაველოდები, ეგ ის ბიჭია, სინამდვილეში ჩემთან ჩხუბი რომ არ უნდაო.

კიდევ ცნობისთვის: ლუისი 35 წლისაა, 38 ბრძოლიდან 36 მოგებული აქვს, 1 ფრედ დამთავრებული და ერთიც წაგებული; დავიდ ტუა 28 წლის გახლავთ, 38 ბრძოლიდან 37 მოიგო და ერთში დამარცხდა.

და მაინც, ფულის მოხვეტის თვალსაზრისით ლუისი ტაისონს რომ ეკრივოს, ძალიან საქმე იქნება. ამ ბრძოლის გამო მოკრივეთა ტელეკომპანიები (სხვათაშორის მტრად მოკიდებული) შესაძლოა გაურიგდნენ კიდეც ერთმანეთს.

„ცხდია, ტაისონი დიდად ხმაურიანი კაცია და ჩვენ თანამედროვეობის უდიდესი ბრძოლის მოწყობა შეგვიძლია“ — თქვა ლუისმა.

და ისევ ტუას შესახებ:

„მაგრამ ტაისონზე ლაპარაკი ნაადრევია. ჯერ ტუა უნდა დავამარცხოვიცი, რომ მარცხენა ჭუკი აქვს ძლიერი, მაგრამ სხვა უპირატესობას ვერ ვხედავ. თანაც, სულ ისეთ ხალხს ამარცხებს, რომლებიც წინააღმდეგობას ვერ უწევენ. მგონი ის ფიქრობს, რომ ჩამოვა ახალი ზელანდიიდან, ერთ-ორ ქვეყნიმე წონოსანს აჯობებს და ეს ლენოქს ლუისის დასაძლევად ეყოფა.“

სიტყვამ ევანდერ ჰოლიფილდიც მოიტანა.

ლუისმა მხოლოდ ეს თქვა: „ჰოლიფილდი ბებერი კაცია.“

და ბოლოს კრიტიკის გამო:

„სულით სპორტსმენი ვარ. რინგზე იმიტომ არ გავდივარ, რომ ვიღაცეებს ხელის ერთი მოქნევით დავყარო. მ ხალხს სისწრაფეს, დაცვას და შეტ ვას ვაჩვენებ და კარგი იქნება, კრიტ კოსები ცოტა თვალს თუ გაახელენ.“

თვალის გასახელი ადგილია: ლ ვეგასი, სასტუმრო „მენდელი ბეი“.

დრო: 11.11.2000

სანახაობა: ლენოქს ლუისი დავ ტუას წინააღმდეგ.

ტუტა სიხარულიძ

ხალხი ვართ. ცოლ-შვილთან გვინდა!

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ფორმულა 1-ის საგაისო, 52-ე ჩემპიონატის კალენდარი გამოქვეყნა. ახალი საუკუნის პირველ სეზონშიც, წლევანდელის მსგავსად, 17 დიდი პრიზი გათამაშდება. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა — ყველა ქვეყანამ თავისი ეტაპი შეინარჩუნა. მხოლოდ რბოლათა თანმიმდევრობა გადაადგილდა.

ყველაზე მეტი ვნებათაღელვა წლეულს აპრილში გადმონაცვლებულ ბრიტანულ ეტაპს მოჰყვა. გაზაფხულის თავსხმის გამო უამრავი გულშემატკივრის პროტესტის გათვალისწინებით, „სილვერსტოუნზე" რბოლა ტრადიციულად ივლისში მოეწყობა.

ასევე სინოპტიკური, ანუ ბუნებრივი პრობლემებიდან გამომდინარე, მალაიზიის დიდი პრიზი ოქტომბრის ნაცვლად სეზონის დასაწყისში გათამაშდება, ხოლო ავსტრია ჩვეულზე ორი თვით ადრე უმასპინძლებს სამეფო რბოლებს.

კიდევ ერთი, საშვებულებო საკითხზე. რაკი ფორმულაში უამრავი, უმეტესად დაოჯახებული ხალხია დასაქმებული, მარათონული პირველობა კი თითქმის რვა თვე გრძელდება, ფედერაციის ხელმძღვანელობამ ისმინა ერთ-ერთი გუნდის მფლობელის, ედი ჯორდანის თხოვნა და აგვისტოში სამკვირიანი საყოველთაო-დასასვენებელი ფანჯარა გამონახა.

მიზეზი და მიზანი ისაა, რომ დაძაბულ, ხანგრძლივ შეჯიბრში ხალხი უზომოდ იქანცება, თანაც თანამშრომლები ოჯახებთან ერთად დასვენების საშუალებას მოკლებული არიან და შვილები მათ არდადაგებზეც ვერ ხედავენ. ედის აზრით, ეს ყოვლად დაუშვებელია.

ერთი სიტყვით, ბოსებმა იდეა ყურად იღეს და ფორმულის ისტორიაში პირველად სამვირიანი, მართლაც მკვდარი სეზონი დადგება — არა მარტო რბოლები, ტესტირებაც კი აიკრძალა.

გია ახალაძე

2001 წლის კალენდარი

4 მარტი	ავსტრალიის დიდი პრიზი (მელბურნი)
18 მარტი	მალაიზიის დიდი პრიზი (კუალა ლუმპური)
1 აპრილი	ბრაზილიის დიდი პრიზი (სან პაულუ)
15 აპრილი	სან მარინოს დიდი პრიზი (იმოლა)
29 აპრილი	ესპანეთის დიდი პრიზი (ბარსელონა)
13 მაისი	ავსტრიის დიდი პრიზი (შპილბერგი)
27 მაისი	მონაკოს დიდი პრიზი (მონტე კარლო)
10 ივნისი	კანადის დიდი პრიზი (მონრეალი)
24 ივნისი	ევროპის დიდი პრიზი (ნიურბერგი)
1 ივლისი	საფრანგეთის დიდი პრიზი (მანი კური)
15 ივლისი	ბრიტანეთის დიდი პრიზი (სილვერსტოუნი)
29 ივლისი	გერმანიის დიდი პრიზი (ჰოკენჰაიმი)
19 აგვისტო	უნგრეთის დიდი პრიზი (ბუდაპეშტი)
2 სექტემბერი	ბელგიის დიდი პრიზი (სპა ფრანკორშამი)
16 სექტემბერი	იტალიის დიდი პრიზი (მონცა)
30 სექტემბერი	აშშ-ის დიდი პრიზი (ინდიანაპოლისი)
14 ოქტომბერი	იაპონიის დიდი პრიზი (სუძუკა)



წლეულს „ფერარიმ" და შუმახერმა ჩემპიონობა მელბურნით დაიწყეს, გაისადაც პირველი მელბურნია

კარტი ფერანს, მალბორო ფიტიპალდის

CART

ავტორბოლისთვის უიშვიათესი შემთხვევა მოხდა კალიფორნიაში — ქალაქ ფონტანას ჩქაროსნულ ტრეკზე კარტის ჩემპიონატის ბოლო, მეოცე რბოლა წვიმის გამო ერთი დღით გადაიდო.

დასკვნითი რაუნდის წინ პირველობის რეალურ შანსს მხოლოდ ორი პილოტი — ბრაზილიელი ჟილ დე ფერანი და მექსიკელი ადრიან ფერნანდესი ინარჩუნებდა. სამხრეთამერიკელი ხუთი ქულით უსწრებდა უმთავრეს მეტოქეს და ცხადია, ბევრად უკეთესი მდგომარეობაც ჰქონდა, მით უფრო, რომ პოული, ანუ საუკეთესო სასტარტო პოზიციაც მისი იყო. სხვათა შორის, კარტისთვის სარეკორდო სიჩქარე — 387,7 კმ/სთ სწორედ „კალიფორნია სპიდვეიზე" დაფიქსირდა 1997 წლის საკვალიფიკაციო შეჯიბრისას.

ჟილ დე ფერანი

არც მექსიკელი ჩანდა უიმედო — შარშანდელ რბოლაში მან ხომ ყველას აჯობა. ამჯერად კი ორივეს მოეცარა ხელი, „მარლბოროს დიდ პრიზს" სხვა დაეუფლა. მართალია, ფერანი საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა თანამემამულეების — კრისტიან ფიტიპალდისა და რობერტო მორენოს შემდეგ, მაგრამ საერთო წარმატებისთვის ესეც ეყო, რადგან კონკურენტი ფინიშზე კიდევ უფრო უკან აღმოჩნდა.

ერთი სიტყვით, პარიზში დაბადებული და ამჟამად შტატებში, ფლორიდაში მცხოვრები 33 წლის ბრაზილიელი საუკუნის ბოლო ჩემპიონად გამოცხადდა. მარლბორო — პენსკეს გუნდში „ჰონდას" ძრავიანი „რეინარდის" მესაჭე ფერანი ხუთი წელია ასპარეზობს კარტში, რასაც ადრე ინდიკარი ერქვა. წლეულს მან ორი ეტაპი მოიგო, ორჯერ მეორე იყო, სამჯერ კი პოდიუმის მესამე საფეხურზე დაასრულა რბოლა.

რაც შეეხება ფერნანდესს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფონტანაში მეხუთე მივიდა ფინიშთან, საერთო მეორე ადგილი უპრობლემოდ შეინარჩუნა. მესამე პრიზიორი კი გახდა ექსფორმულელი მორენო, რომელმაც ერთბაშად ორ მეტოქეს აჯობა. ცოტაც გამარჯვებულზე. ფორმულის ორგზის ჩემპიონ ემერსონ ფიტიპალდის ძმისშვილმა და თავადაც ევროპაში ნამოღვაწარმა კრისტიანმა ამ ოცქულიანი სიურპრიზითაც ბევრი ვერაფერი იხეირა — სატურნირო ცხრილში მხოლოდ ორი საფეხურით აინაცვლა და საბოლოოდ მე-12 ადგილზე დამკვიდრდა. ფიტიპალდიმ წლეულს ერთადერთი რბოლის მოგება შეძლო, სულ კი ოც დიდ პრიზს 11 მეპატრონე გამოუჩნდა.

საერთო ჩათვლა

1. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია, „რეინარდ ჰონდა") — 168 ქულა
2. ადრიან ფერნანდესი (მექსიკა, „რეინარდ ფორდი") — 158
3. რობერტო მორენო (ბრაზილია, „რეინარდ ფორდი") — 147
4. კენი ბრაკი (შვედეთი, „რეინარდ ფორდი") — 135
5. პოლ ტრეისი (კანადა, „რეინარდ ჰონდა") — 134
6. ჯიმი ვასერი (აშშ, „ლოლა ტოიოტა") — 131
7. ჰელიო კასტრონეესი (ბრაზილია, „რეინარდ ჰონდა") — 129
8. მაიკლ ანდრეტი (აშშ, „ლოლა ფორდი") — 127
9. ხუან მონტოია (კოლუმბია, „ლოლა ტოიოტა") — 126
10. კრისტიანო და მატა (ბრაზილია, „რეინარდ ტოიოტა") — 112

პრეზიდენტმა, რა თქმა უნდა, არ იცის

სამშაბათს საფრანგეთის ქალაქ ლილში მიმდინარე სასამართლო პროცესზე ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (ვსკ) ჰოლანდიელი პრეზიდენტი ჰეინ ვერბრიუგენი დაიკითხა. მან აღიარა, რომ ველოსპორტში დოპინგი ფართოდაა გავრცელებული, ოღონდ ამაში მთლიანად მრბოლები დაადანაშაულა.

„ფაქტის" საქმე

ხუთსაათიანი დაკითხვისას ვერბრიუგენი თავის უდანაშაულობას ამტკიცებდა და გაიძახოდა, არაფერი ვიციო. მან ისიც კი განაცხადა, წარმოდგენა არ მაქვს, როდის გაჩნდა პელოტონში ეპო, ალბათ, დაახლოებით 1993 წელსო, რამაც მოსამართლე დანიელ დელეგოვი ცოტა არ იყოს, აღაშფოთა.

— თვალები რომ არ დაგეხუჭათ და ყურები არ დაგეცოთ, გეცოდინებოდათ, რომ ეპო 1993 წლამდე, სავარაუდოდ, 1989 წელს გამოჩნდა — უთხრა ვერბრიუგენს მოსამართლემ.

— ყოველთვის დადის ჭორები სხვადასხვა პრეპარატებზე, მაგრამ თუ ფაქტები არ მექნება, ვერ დავიჯერებ, — თავი დაიცვა ვსკ-ს პრეზიდენტმა.

ფიცის საკუთარი ინიციატივით დადების შემდეგ, რადგან იგი არც მოწმეა და არც ბრალდებული, არამედ ეგრეთ წოდებული მესამე პირი, ვერბრიუგენმა განაცხადა, რომ თავს პასუხისმგებლად არ თვლის, მითუმეტეს, დამნაშავედ იმაში, თუ რომელიმე მრბოლი დოპინგს იღებდა. მან მაინც აღიარა, რომ შეცდომები მასაც მოსვლია, მაგრამ მაშინვე დაამატა, 1991 წელს, ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ერთი დოპინგზე დაჭერის ფაქტიც კი არ მიჩქმალულაო.

მთლიანად პელოტონი კი ვერბრიუგენმა ოთხ ნაწილად დაყო. „არსებობენ მრბოლები, რომლებიც თაღლითობენ და ბევრ დოპინგს იღებენ, მრბოლები, რომლებიც დოპინგს იმიტომ მიმართავენ, რათა პირველმა, რეალურად უფრო სუსტმა ნაწილმა არ აჯობოს. მესამე კატეგორიაში იმ ხალხს შევიყვან, რომლებიც სასჯელისა და დისკვალიფიკაციის შიშით მხოლოდ ნებადართული პრეპარატებით იჭყიპება. ძალიან მცირე რაოდენობა კი საერთოდ არაფერს იღებს" — განაცხადა ვსკ-ს პირველმა კაცმა.

შემდეგ მან დეტალურად გააანალიზა თავისი ორგანიზაციის მიერ დოპინგის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა. „ათწლიანი მუშაობის შემდეგ იოლია იმის თქმა, რომ რაღაც ადრევე შეიძლებოდა უკეთ გაკეთებულიყო. ჩვენ იდეალურები არ ვართ, მაგრამ განა მსოფლიო იდეალურია? თუ ველოსპორტში დოპინგი არსებობს, სამაგიეროდ, არსებობს ანტიდოპინგური მოძრაობაც. ჩვენ მაქსიმალურად ვებრძვით ამ სენს და ამას უკვე დიდი ხანია, ვაკეთებთ" — განაცხადა ვერბრიუგენმა, მაგრამ ქართული ანდაზისა არ იყოს, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

REUTERS ლილიდან

ჰეინ ვერბრიუგენი

თავად განსაჯეთ.

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი, ფაქტობრივად, მხოლოდ სიტყვით ებრძვის დოპინგს. ფინანსური მხარდაჭერა ამ ბრძოლას თითქმის არც აქვს. ვსკ თავისი ბიუჯეტის მხოლოდ 1 პროცენტს (ნაკლებსაც კი) ხარჯავს თავისი სპორტის გასაჯანსაღებლად. 1995 წლიდან მოყოლებული, მან ოდენ 1,8 მილიონი ფრანგული ფრანკი გაიღო ამ საქმისთვის, არადა, ბიუჯეტი 250 მილიონ ფრანკს შეადგენს. სისხლის ანალიზების ჩასატარებლად კი ფულს გუნდები იხდიან. მთელი წლის მანძილზე მათ 16 ათასი ფრანკის გადახდა ევალებათ.

„16 ათასი ფრანკი წელიწადში მაშინ, როცა „ფესტინას" ბიუჯეტი 40 მილიონ ფრანკს აჭარბებს? ეს სასაცილო და აღმაშფოთებელია" — აზრი გამოთქვა პროცესის ხელმძღვანელმა დანიელ დელეგოვმა.

„ჩვენ არ ვართ მდიდარი ფედერაცია" — წამოიძახა ვერბრიუგენმა. ვსკ ფიფასთან შედარებით მართლაც არაა მდიდარი, მაგრამ მათხოვრადაც არ შეიძლება მისი მიჩნევა. ვსკ-ს ოფისი შვეიცარიულ ლოზანაში აქვს, 37 თანამშრომელი ჰყავს და წლეულს 75 მილიონი ფრანკი დაიხარჯა.

ეპო რომ ჯანმრთელობისთვის საშიშია, რამდენიმე მრბოლის სიკვდილიდანაც ჩანს. ვერბრიუგენს მოსამართლემ ამის შესახებაც ჰკითხა: „როგორ ახსნით, რომ 1989-92 წლებში 7 ჰოლანდიელი მრბოლი დაიღუპა?"

— მათი გარდაცვალების მიზეზების დადგენა ძნელია. მაშინ ოთხ მათგანს სხვადასხვა ავადმყოფობა დაუდგინეს, სამის სიკვდილის მიზეზი კი ექიმებმა ვერ აღმოაჩინეს — განაცხადა ვერბრიუგენმა. არადა, მაშინ პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ იმ მრბოლებს ახალი დოპინგი, სახელწოდებით ეპო გამოეყენებინათ.

გარდა ამისა, დელეგოვი ვსკ-ს პრეზიდენტმა ერთხელაც განაცვიფრა. მან სიამაყით აღნიშნა, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე 12 500 შარდის ანალიზი აიღეს და დოპინგმიღებული სპორტსმენებიც დასაჯეს. თუმცა შარდზე უკეთ აკრძალული პრეპარატები თურმე თმაში ჩანს, რაც სტრასბურის ტოქსიკოლოგიის ცენტრის ექსპერტმა, პროფესორმა პასკალ კიენცმა განაცხადა. „თმის ღერის თითოეული სანტიმეტრი ორგანიზმში ერთი თვის მანძილზე მიღებულ ნივთიერებების შესახებ შეიცავს ინფორმაციას. ამ მეთოდს 1991 წლიდან იყენებენ სისხლის სამართლის საქმეებში" — განაცხადა სტრასბურელმა სწავლულმა, რომელმაც დაამატა, ეპო ამ შემთხვევაში გამონაკლისია და თმაში არ ჩნდებაო.

— ამ მეთოდის გამოყენებით რომელიმე სისხლის სამართლის დამნაშავეს შეიძლება 20-30 წლიანი თავისუფლების აღკვეთა მიესაჯოს და მრბოლის რადმენიმეთვიანი დისკვალიფიკაციის საფუძვლად არ ივარგებდა? — ჰკითხა ვერბრიუგენს ბატონმა დელეგოვმა.

— ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ამ წუთს გავიგე პირველად — თქვა ჰოლანდიელმა.

როგორც უკვე გითხარით, ვერბრიუგენის დაკითხვა ხუთ საათს გაგრძელდა, ამიტომ საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტ დანიელ ბაალისთვის და „ტურ დე ფრანსის" დირექტორ ჟან-მარი ლებლანისთვის მოსამართლე დელეგოვმა ველარ მოიცალა. გუშინ პროცესზე შესვენება იყო და ამიტომ ბაალი და ლებლანი დღეს წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

გაბი გურული

ᲐᲡᲔ ᲒᲔᲕᲚᲝᲗ!

ᲧᲝᲩᲐᲦ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲓᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ!

ᲐᲛ უქმეებზე, როცა თბილისმა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, ტუნისში ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობა ჩატარდა. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯერმალ ნათელაშვილმა იქ ახალი გუნდი იახლა, რადგან შარშანდელი შემადგენლობა ამ ასაკისთვის ერთიანად გაიზარდა. მწვრთნელმა წლეულს ვახტანგ ხოსიტაშვილი (60), ზურაბ ბაბლუანი (66), დავით სეფისკვერაძე (73), გრიგოლ მამრიკიშვილი (81), ზურაბ ზვიადაური (90), ლაშა ფეიქრიშვილი (100) და ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე) შეარჩია.

ეს ბიჭები ახალგაზრდულ ტურნირზე პირველად კი გამოდიოდნენ, მაგრამ რამდენიმეს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში საერთაშორისო შეჯიბრებების გამოცდილება არ აკლია. ზოგი ღირსეულ სპარინგობას უწევს ნაკრების წევრებს, ზვიადაური კი სულაც მისი კანდიდატია. შარშან ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირები მან ფურორით დაიწყო — ჯერ მოსკოვში გაიმარჯვა (ეს ღიღებში მისი პირველი გამოსვლა იყო), რამდენიმე დღეში კი ბულგარეთში მესამე ადგილი დაიკავა. საბოლოოდ სენსაცია არ მოხდა — ახალგაზრდა სპორტსმენს უფროსებთან და გამოცდილებთან ჭიდილი გაუჭირდა და საერთო ჩათვლაში ნაკრების წევრმა გუგავამ გაუსწრო. თუმცა, ეტყობა, მაშინ საკმარისი გამოცდილება შეიძინა, რადგან ახლა ტუნისში თანატოლებს შანსი არ დაუტოვა და მსოფლიოში უძლიერესის ტიტული მოიპოვა. მას არც გრიგოლ მამრიკიშვილი ჩამორჩა და ისიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

სამწუხაროდ, სხვებს ხელი მოეცარათ, მაგრამ ამ ორი ოქროს მედლით (ამდენი კი არავის მოუპოვებია) ჩვენი ნაკრები არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მაინც ჩემპიონი გახდა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲙᲣᲖᲖᲔ

BT Global Challenge
The world's toughest yacht race

ᲠᲔᲒᲐᲢᲐ «BT ᲒᲚᲝᲑᲐᲚ ᲩᲔᲚᲔᲜᲯᲘ»

ᲑᲝᲚᲝ ოცდაოთხმა საათმა დინამიურად ჩაიარა, რასაც გუშინდელი და დღევანდელი ცხრილების შედარებაც ადასტურებს. მაჩანჩალებმა ზურგში სვლა არ ისურვეს და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ გადაუხვიეს, რახან ქარი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ქროდა. ზურგქარის შემწეობით „ოლიმპიკ გრუპმა“ 24 საათში 165 მილი დაფარა, „სპორტ ოფ ჰონკონგმა“ — 191 და მათ მესამე-მეოთხე ადგილებზე გადაინაცვლეს. 191-ვე მილით „ვერიტასმა“ მე-9-დან მე-5 ადგილამდე წაიწია, სამაგიეროდ, დაიჩაგრნენ — „ქუადსტოუნი“, რომელიც მესამე იყო და იმდენი მოახერხა, მე-10-ზე გადავიდა და „ლოჯიკე“ (მე-4-დან მე-9-ზე). ესენი ქარს არ შეეპუენენ და კვლავ პირდაპირი გზით ცურვა არჩიეს, რის გამოც მთელი ღამის განმავლობაში 100 მილს ვერ ასცდნენ. მსგავსი ტაქტიკით მიდიოდა მეორეადგილოსანი „კომპაქიც“, მაგრამ მას თავიდანვე მოხერხებული პოზიცია ეჭირა და ადგილის შესანარჩუნებლად 99 მილის დაფარვაც ეყო, ხოლო ლიდერმა, „ელ ჯი ფლატრონმა“ „ოქროს შუალედის“ პრინციპით მოქმედება არჩია, კურსი მხოლოდ ნაწილობრივ შეცვალა, 180 მილი გაცურა და პირველი პოზიცია მეტად დამაჯერებლად უკავია. დანარჩენები კი, უიმედო „ნორვიჩ იუნიონის“ გამოკლებით, ერთმანეთისგან 50 მილის რადიუსში არიან, თუმცა გუშინწინ აღზევებულებს მოვლენათა ჩვეულებრივი მდინარებისას ისევ ჩამორჩენა ელით. მათ დასავლეთისკენ ერთობ ღრმად შეტოპეს და სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ კუზის შემოსავლელად მეტის გაცურვა მოუწევთ. რეგატა ეკვადორს დღეს-ხვალ გადასცდება.

II ᲔᲢᲐᲞᲘ

ბოსტონი — ბუენოს აირესი
1 ნოემბრის ვითარება

1.	„ელ ჯი ფლატრონი“	2889	0
2.	„კომპაქი“	3005	116
3.	„ოლიმპიკ გრუპი“	3013	124
4.	„სპირიტ ოფ ჰონკონგი“	3015	126
5.	„ვერიტასი“	3016	127
6.	„ტიიმ სპირიტი“	3022	133
7.	„ბი პი“	3023	134
8.	„სერკო“	3025	136
9.	„ლოჯიკე“	3032	143
10.	„ქუადსტოუნი“	3046	157
11.	„აილ ოფ მენი“	3057	168
12.	„ნორვიჩ იუნიონი“	3229	340

მეორე სვეტში მოცემულია მანძილი (საზღვაო მილებში) ფინიშამდე, მესამეში — ჩამორჩენა ლიდერთან.

ᲚᲐᲛᲐᲖ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲗᲐᲜ

THE TIMES Clipper 2000 RACE VIEWER

ᲠᲔᲒᲐᲢᲐ «ᲢᲐᲘᲛᲡ ᲙᲚᲘᲞᲔᲠ 2000»

ᲬᲣᲡᲔᲚ იახტები კუნძულ მადეირას სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირთან მიცურავდნენ, იქ, სადაც ქალაქი ფუნშალი მთა-გორებს შეხიზვნია. მშვენიერი ხედი ჩანდა, მადეირა ლამაზი კუნძულია და დიდი კრუიზების პროგრამის უცვლელი ნაწილი. „ტაიმს კლიპერ 2000“-ის მონაწილეებმა კი მხოლოდ წამი შეავლეს თვალი გვარიან სანაპავს და მერე კვლავ თავის ანძა-იალქნებს დაუბრუნდნენ — პირველობისთვის მძაფრი ბრძოლა მიდის. „ლონდონისა“ და „პორტსმუთის“ საპირველადგილო დუელი პროვინციელებმა მოიგეს და ახლა 14 მილით წინ არიან. ამასობაში მძლავრად ამოქმედდნენ პირველი ეტაპის გამარჯვებული „ბრისტოლი“ და მიმყოლი „პლიმუთი“. პირველებმა უკადრისი მე-7 ადგილიდან მე-4-ზე გადაინაცვლეს, ხოლო კორნუოელელოები დედაქალაქელებს წამოეწინენ და ახლა მათ მეორე ადგილისთვის ეპაექრებიან. აფროსნებს გეზი, შეგახსენებთ, ჰავანისკენ უჭირავთ, სადაც „ლონდონის“ აფოფინებული მემატიანის თქმის არ იყოს, დიდებული ჰავანური სიგარები და რომი ელით. მემატიანეთა შესახებ დამატებით იმას მოგახსენებთ, რომ ისინი „ტაიმსთან“ თანაშრომლობენ და გაზეთის მკითხველს რეგატის მიმდინარეობას აღუწერენ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

II ᲔᲢᲐᲞᲘ

ვილამურა — ჰავანა
1 ნოემბრის ვითარება

1.	„პორტსმუთი“	3478	0
2.	„პლიმუთი“	3492	14
3.	„ლონდონი“	3492	14
4.	„ბრისტოლი“	3504	26
5.	„გლაზგო“	3508	30
6.	„ჯერსი“	3543	65
7.	„ლიდსი“	3552	74
8.	„ლივერპული“	3579	101

მეორე სვეტში მოცემულია მანძილი (საზღვაო მილებში) ფინიშამდე, მესამეში — ჩამორჩენა ლიდერთან.



„ლონდონს“ ჰავანაში რომი ელის

ᲣᲐᲖᲜᲝ ᲠᲔᲓᲒᲠᲔᲘᲕᲘ ᲜᲘᲭᲐᲑᲛᲐ ᲒᲐᲐᲐᲖᲜᲐᲣᲠᲐ



სერ სტივ რედგრეივი

ᲨᲣᲐ საუკუნეების რაინდები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ოდესმე ამ საპატიო წოდებისკენ მიმავალი გზა მდაბიოთა და მონათა ისეთ ხელობაზე გაივლიდა, როგორც ნიჩბის სმაა. მაგრამ აბჯრებისა და საბრძოლო ტურნირების დრო კარგა ხანია, წავიდა და ახლა ეროვნულ გმირებად სულ სხვა დამსახურებისთვის შერაცხავენ — 38 წლის სტივ რედგრეივი გაისად „სერ სტივი“ იმის გამო გახდება, რომ ზედიზედ 5 ოლიმპიადაზე ნიჩბოსნობაში ოქროს მედალი მოიპოვა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა პირადად წარადგინა რედგრეივი რაინდობის მისაღებად და სიდნეიში მის მეხუთედ გაჩემპიონებას „ყველა დროის ერთ-ერთი ფანტასტიკური სპორტული მიღწევა“ უწოდა.

რედგრეივს მხარდაჭერა და პოპულარობა არც აქამდე აკლდა — ოთხკაციანი ნავით აკადემიურ ნიჩბოსნობაში 2000 მეტრზე რბოლა მისი მონაწილეობით ერთბაშად შვიდმა მილიონმა თანამემამულემ იხილა, არადა, სიდნეიდან რეპორტაჟი მეტად მოუხერხებელ დროს, ღამის 1 საათზე დაიწყო. ვერსად გაექცევა ნიჩბოსანს „ინგლისის წლის საუკეთესო სპორტსმენის“ ჯილდოც.

ახლა ცოტა რამ თავად სერ სტივის შესახებ. სპორტის საყვარელ სახეობას 25 წლის წინ, ინგლისურის მასწავლებელმა, ნიჩბოსნობის ფანატმა აზიარა, რომელმაც სკოლის გუნდი დაარსა. სხვათა შორის, სკოლას სულ მალე თავისი ყველაზე ცნობილი მოსწავლის სახელს მიანიჭებენ.

პირველი ოქროს მედალი რედგრეივმა 1984-ში, ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე მოიპოვა. მერე კი ამას მოჰყვა მსგავსი წარმატებები სეულში (1988), ბარსელონაში (1992), ატლანტასა (1996) და სულ ახლახან სიდნეიშიც. და ეს მაშინ, როდესაც სიმაღლით თითქმის ორმეტრიან სპორტსმენს დიაბეტი სჭირს და დღეში ექვს-შვიდჯერ საკუთარ ხელით იკეთებს ინსულინს.

სტივის მეუღლე ენი ინგლისის გუნდის ექიმი და ამასთან ფრიად ხელგაშლილი პიროვნებაა — სექტემბერში მეუღლეს 52 000 გირვანქად ღირებული ახალთახალი „იაგუარი“ აჩუქა. ტკბილ წყვილს ორი ქალიშვილი ჰყავს, 9 წლის ნატალი და 6 წლის სოფი და ერთი ვაჟი — 2 წლის ზაკი.

„ის ნამდვილი ეროვნული გმირია — განუცხადა გაზეთ „სანს“ ერთმა მაღალრინოსანმა ინგლისელმა — და სავსებით იმსახურებს რაინდის წოდებას. ახალი წლიდან შეგიძლიათ მას სერ სტივი დაუძახოთ.“

თუმცა სარეკორდო, ზედიზედ მეექვსე ოლიმპიადაზე ოქროს მოპოვებას (აქამდე ამას მხოლოდ უნგრელმა მოფარიკავემ ალადარ გერევიჩმა მიაღწია) რედგრეივი აღარ შეეცდება. „გადავწყვიტე, პენსიაზე გავიდე, ნიჩბოსნობას ჩემი ცხოვრების 25 წელი მივუძღვენი. ვგრძნობ, რომ მომდევნო თამაშებზეც შემიძლია გამოსვლა, მაგრამ კიდევ ოთხი წლის განმავლობაში ყოველდღიურ ვარჯიშს ვეღარ გავუძლებ. მინდა, დრო ოჯახთან გავატარო და საკუთარი თავი სხვა სარბიელზეც გამოვცადო“ — განაცხადა ინგლისელმა სამშაბათს.

რედგრეივი ამიერიდან ნიჩბებს მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის მოუსვამს, გაისად კი შეიძლება ლონდონის მარათონშიც მიიღოს მონაწილეობა: „ჩემი მიზანი სიდნეიში გამოსვლა იყო, რამაც მართლაც უდიდესი გამოცდილება შემძინა. უახლოეს მომავალში საზოგადოებრივი საქმიანობა შელის, ამასობაში კი იმასაც გადავწყვეტ, თუ რას გავაკეთებ სიცოცხლის ბოლომდე“.

ᲓᲐᲗᲝ ᲮᲐᲠᲯᲘᲐᲜᲘ

ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ ᲠᲐᲨᲔᲑᲘ ᲡᲐᲯᲘᲜᲘᲑᲝᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ

ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ, რვა აპრილამდე! ავსტრალიის დიდი პრიზის შემდეგ ასე გამოემშვიდობნენ მაყურებლებს თვალისმომჭრელ კოსტუმებში გამოწყობილი მხედრები და ქანცგაწყვეტილ რაშებს საჯინიბოებისკენ უქნეს პირი.

მოტოსპორტში მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო ეტაპს ლიდერთა შორის დიდი გადაადგილებები არ მოჰყოლია. ამერიკელი კენი რობერტსი უკვე წინა ეტაპზე აკურთხეს ჩემპიონად. იტალიელ რობერტო ლოკატელისა და ფრანგ ოლივიე ჟაკს კი მაინცდამაინც ბევრი არაფერი სჭირდებოდათ დაფნის გვირგვინის მოსაპოვებლად. მიუხედავად ამისა, ფრანგმა მაინც მოიგო ეტაპი, იტალიელი კი იმას დარსჯერდა, რაც ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად საკმარისი იქნებოდა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ოლივიე ჟაკი

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ

125 კუბ/სმ
1. მასაო აზუმა (იაპონია, ჰონდა)
2. იუიჩი უი (იაპონია, დერბი)
3. ნობურო უედა (იაპონია, ჰონდა)

250 კუბ/სმ
1. ოლმვიე ჟაკი (საფრანგეთი, იამაჰა)
2. შინი ნაკანო (იაპონია, იამაჰა)
3. დაჯირო კატო (იაპონია, ჰონდა)

500 კუბ/სმ
1. მაჭს ბიაჯი (იტალია, ჰონდა)
2. ლორის კაპიროსი (იტალია, ჰონდა)
3. ვალენტინო როსი (იტალია, ჰონდა)

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

125 კუბ/სმ
1. რობერტო ლოკატელი (იტალია, სუზუკი) — 230; 2. იუიჩი უი (იაპონია, დერბი) — 217; 3. ემილიო ალზამორა (ესპანეთი, ჰონდა) — 203

250 კუბ/სმ
1. ოლივიე ჟაკი (საფრანგეთი, იამაჰა) — 279;
2. შინი ნაკანო (იაპონია, იამაჰა) — 272;
3. დაჯირო კატო (იაპონია, ჰონდა) — 269

500 კუბ/სმ
1. კენი რობერტსი (აშშ, სუზუკი) — 258;
2. ვალენტინო როსი (იტალია, ჰონდა) — 209; 3. მაჭს ბიაჯი (იტალია, ჰონდა) — 170

მაია ჩიბურდანიძემ გალიამოვა ისევ დაიფრინა

ქალებს ისევ გვიჭირს

დასაწყისი პირველ გვერდზე

ამ თხუთმეტიოდე წლის წინ, მაშინდელ საკავშირო ჭადრაკო ჟურნალში თავის წერილს ნანა ალექსანდრიამ, არა მარტო ბრწყინვალე მოჭადრაკემ, არამედ შესანიშნავმა პუბლიცისტმა და ტელეჟურნალისტმა (და რაოდენ დასანანია, რომ ნანა შედარებით ნაკლებად წერს და იშვიათად ჩნდება ხოლმე ტელეეკრანზე), ასეთი სათაური წაუმძღვარა: „ჭადრაკი იხსნის ჩადრს“.

დიახ, ჭადრაკი აღარ არის მხოლოდ ევროპელთა თამაში, მას ხომ მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე თამაშობენ ყველა რასის წარმომადგენლები და სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები (ისე, ერთი ხანობა ქრისტიანობაც დევნიდა ჭადრაკს, აზარტული თამაში და უნდა აიკრძალოსო). ასეთი პოპულარობის პირობებში ტალანტებიც გაიბრწყინებენ ხოლმე — და არა ერთი და ორი. გუნდს შეჰკვრავენ, ისეთს, ბევრს რომ ტოლს არ დაუდებს. სტამბოლში, ჩინელებზე რომ არაფერი ვთქვათ, საკმაოდ წარმატებით თამაშობენ ვიეტნამელი, მონღოლი, ინდოელი ქალები. ბოლოს და ბოლოს, რაღა შორს მივდივართ, ამას წინათ ჩინეთში დასრულებული მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალურ შეხვედრაში ევრო-აზიის დუელი, კაცებშიც და ისე ქალებშიც აზიელთა გამარჯვებით დამთავრდა.

მესამე ტურის დასრულებისთანავე, ყოველგვარი კენჭისყრის გარეშე ცნობილი გახდა, რომ 8-ქულიანები (ქალებზეა ლაპარაკი) — ჩინეთი და ჰოლანდია და 7,5-ქულიანები, საქართველო და რუსეთი, ერთმანეთს უკვე მომდევნო, მეოთხე ტურში შეხვდებოდნენ. კაცებში მდგომარეობა უფრო გაურკვეველი იყო — ჩვენსავით 8 ქულა კიდევ ცხრა ქვეყანას აღმოაჩნდა, ამდენად, კომპიუტერის დახმარება გახდა აუცილებელი. მან კი მეტოქედ შვედების გუნდი გვარგუნა, დიდოსტატ ულფ ანდერსენის თამადობით.

საპრიზო ადგილების მთავარი პრეტენდენტები საბრძოლველად ძირითადი შემადგენლობით გამოვიდნენ. ქართველებს ერთგვარი უპირატესობა თავიდანვე ჰქონდათ — ისინი სამი პარტიიდან ორს თეთრებით თამაშობდნენ.

მატჩების დაწყებიდან სამი საათის შემდეგ, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა დაფებზე, ბევრი რამ უკვე გარკვეული იყო. მაია ჩიბურდანიძემ პირწმინდად აჯობა ალისა გალიამოვას და მისი მოგება ეჭვს აღარ იწვევდა. ცნობისთვის: მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოჭადრაკე ქალს, გალიამოვას მაიამ მოსკოვის ოლიმპიადაზეც სძლია, ერევანსა და ელისტაში კი რუსეთის პირველი ნომერი აღარ გამოჩენილა.

ეკატერინე კოვალევსკაიასთან შუაგულ თამაშში ნანა იოსელიანმა ხარისხი შესწირა და ნონა გაფრინდაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი პოზიცია პერსპექტიული და იმედისმომცემი გახდა. ყოველ შემთხვევაში, კომპენსაცია სრული იყო.

ვერ იხსენებენ, სვეტლანა მატვეევას ადრე უთამაშია თუ არა გრიუნფელდის დაცვა, ნინო ხურციძესთან კი გარისკა და თავიდანვე უარესი პოზიცია მიიღო. ნინო აქტიურობდა და მეტოქეს უამრავ პრობლემას უქმნიდა.

ქალთა მატჩის საბოლოო შედეგის კონტურები გამოიკვეთა — მინიმუმ 2,5 ქულა 3-დან. ეს კი რუსთა ნაკრების განადგურებას ნიშნავდა. ასეც მოხდა. მეორე დაფაზე იოსელიანმა შავებით ყაიმზე ითამაშა. 1998 წელს ელისტაში დამარცხებისთვის რევანში შედგა.

ამ დღეს საქართველოს ნაკრების სამივე წევრი მართლაც რომ ბრწყინვალე იყო. „თვალს ვერ ვაშორებდი თქვენების თამაშს. დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ საქართველოში ქალთა ჭადრაკი არა მარტო იყო, არამედ არის და იქნება“ — უთხრა ნონა გაფრინდაშვილს მისმა კოლეგამ, მოლდოვის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა სკრიპჩენკომ, რომლის გუნდიც ჯერჯერობით საკმაო წარმატებით გამოდის ოლიმპიადაზე და ოთხი ტურის შემდეგ მეექვსემერვე ადგილებს იყოფს. სხვათა შორის, პირველ დაფაზე თავად პრეზიდენტის ქალიშვილი თამაშობს, მისი მეუღლე კი — ფრანგების პირველი ნომერი ლოტიე ლონდონში კრამნიკს ეხმარება კასპაროვის დამარცხებაში...

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა ზედიზედ ორი ყაიმის შემდეგ პირველი მარცხი იწვნია შვედებთან. მეორე დაფაზე გიგა ყაჭეიშვილის სწრაფ ყაიმს მეოთხე დაფაზე ბაადურ ჯობავას წაგება მოჰყვა. ჭაბუკი მოჭადრაკე ცდუნებას აჰყვა და მეტად სარისკო ნაბიჯი გადადგა — შუა თამაშში ცენტრის გახსნა დაიწყო, რაც მისთვის საბედისწერო გამოდგა.

პირველ დაფაზე ულფ ანდერსონის წინააღმდეგ ზურაბ აზმაიფარაშვილმა აშკარად უკეთესი პოზიცია მიიღო და ფიქრობდნენ, რომ იგი მეთოდური თამაშით პარტიას მოგებამდე მიიყვანა. ყველაფერი სწორედ იქეთკენ მიდიოდა, მაგრამ მოულოდნელად ზურაბმა შვედს ფიგურის შეწირვის საშუალება მისცა და სულ მალე დაფაზე ისეთივე პოზიცია შეიქმნა, როგორიც პირველ ტურში — ზურაბის ეტლი და მსუბუქი ფიგურა მეტოქის ეტლის წინააღმდეგ. განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად აზმაიფარაშვილის ეტლს პარტნიორობას არა კუ, არამედ მხედარი უწევდა. „თეორიული ყაიმია, ეტლითა და კუთი მოწინააღმდეგის ეტლის დამარცხება უფრო იოლია, ვიდრე ეტლითა და მხედრით. ანდერსონს ზუსტი თამაში მართებს. ვნახოთ, იქნებ ზურაბმა აიძულოს იგი, შეცდომა დაუშვას“ — მეუბნება ზურაბ სტურუა.

არა, ეს არ მოხდა. ულფ ანდერსენი და სერგეი კრილოვი სხვადასხვა წონითი კატეგორიის მოჭადრაკეები არიან.

თამაზ გელაშვილი გამარჯვებისთვის ბევრს კი ეცადა, მაგრამ ლაზიერების ენდშპილში მხოლოდ ყაიმს დასჯერდა.

გუშინ

მესამე ტური

ვაჟები. საქართველო — მაკედონია 2:2

ქალები. საქართველო — იუგოსლავია 2:1

მაჭრი მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს ჩემპიონის ტიტულისთვის

საპრიზო 2 მილიონი $

LONDON 2000

XIV პარტია

კასპაროვი vs კრამნიკი

6 8

ლონდონიდან ფრანგებმა რუსები გაუყარეს

გუშინწინ გარი კასპაროვმა ყაიმების მარაგი ამოწურა. დარჩენილი ორი პარტიიდან მას ორივეს მოგება მართებს, კარგა ხნის გათავისებული ტიტული რომ შეინარჩუნოს. ამ ნაკლებსავარაუდო ვარიანტის შედეგი 8:8 იქნება და ჩემპიონი და პრეტენდენტი 2 მილიონ დოლარს თანაბრად გაიყოფენ, ანუ ფინანსურად გამარჯვებული არ იქნება, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მატჩის კულისებში ხმაური გრძელდება. არ განელებულა სათამაშო დარბაზიდან ჟურნალისტ ჯონ ჰენდერსონის გაძევების ამბავი, რომ ორგანიზატორებთან ახლა რუსული ტელეკომპანია „ენტევე“ წარსდგა პრეტენზიით. რუსები საორგანიზაციო კომიტეტს ასევე მასმედიისადმი არასწორ დამოკიდებულებაში ადანაშაულებენ. ირკვევა, რომ „ენტევეს“ ჟურნალისტი და ოპერატორი ორგანიზატორებმა შენობიდან გაყარეს, რახან ოპერატორს დარბაზში კამერა ჩაურთავს და ჟურნალისტი რეპორტაჟზე მუშაობას შესდგომია. გარეთაც არ დაუყენებიათ განდევნილები, რომელთაც უფიქრიათ, მიმდებარე ტერიტორიას მაინც გადავიღებთო. და საერთოდ, „ბრაინგეიმზ ნეტუორკმა“ მხოლოდ ახლა დაადასტურა, რომ მატჩის ტრანსლაციის უფლება ერთ ფრანგულ ტელეკომპანიას მიჰყიდა და სხვათა აპარატურა დარბაზში ვერ გაიჭაჭანებს. რუსები საქმის საფლავამდე ჩაყოლას აპირებენ, ხოლო ჩრდილოელთა ქვეყნის კიდევ ორმა მოქალაქემ გუშინწინ მეთოთხმეტე პარტია ითამაშა, რომელშიც კრამნიკი თეთრებით იყო. ამის მიუხედავად, მან ფრთხილად დაიწყო, აშკარად საყაიმო განწყობა ეტყობოდა. კასპაროვმა, პირიქით, აგრესიულად შეუტია, რაც მალე მოგებული პაიკით დაუფასდა. დაინარჩუნებდა კასპაროვი ამ პარტიას და მატჩიც თავიდან დაიწყებოდა, მაგრამ მას უმტყუნა იღბალმა თუ კაისამ კრამნიკის მხარე დაიჭირა — ჩემპიონმა კიდევ ერთი (მესამე თუ მეოთხე) მოსაგები შანსი წყალს გაატანა და ახლა იმ გამოუვალ დღეშია, თავში რომ აღვწერე. მეთხუთმეტე პარტია უეჭველად საკვანძოა, ვფიქრობთ, ცხადია, რატომაც.

დავით გულუა

REUTERS ლონდონიდან

კრამნიკი მშვიდადაა, კასპაროვი კი აშკარად დელავს



ოტაველმა ენდრიუ როიმ (№26) და ტორონტოელმა ტაი დომმა თავისი საქმე — ჩხუბი კარგად იციან

სლოვაკოფირმა!

31 ოქტომბერი

ოტავა — ტორონტო 4:3

კაროლინა — ტამპა 6:5 (დ.დ.)

კოლუმბუსი — ლოს ანჯელესი 4:1

ნეშვილი — სენტ ლუისი 2:4

აილენდერსი — ბოსტონი 4:2

ვაშინგტონი — დეტროიტი

წლეულს „აილენდერსი“ რიგიანად რომ ათამაშდა, ახალწვეული, გამოცდილი ჰოკეისტების დამსახურებაა. კლუბის მესვეურებმა, როგორც იქნა, შეიგნეს, რომ წარმატების მისაღწევად ფულია საჭირო. დამატებითი სახსრებიც გამოიძებნა და გუნდში გამოჩნდნენ მეკარე ჯონ ვანბისბრუკი, მცველები — რომან ჰამრლიკი და გარი გელი. შედეგმაც არ დააყოვნა. სამშაბათს „კუნძულელებმა“ ბოსტონთან ზედიზედ მესამე მოგება იზეიმეს და 1999 წლის ოქტომბრის შემდეგ პირველად დასძლიეს 50-პროცენტიანი ზღვარი.

სამხრეთ-აღმოსავლეთის გუნდებს კი ამ ნიშნულის გადალახვა სანატრელი გახდომიათ. პარადოქსია, მაგრამ ხუთი გუნდიდან დადებითი ბალანსი ჯერ არც ერთს არ აქვს და დივიზიონში ლიდერებად ქცეული „კაროლინა“ და „ვაშინგტონი“ წყნარი ოკეანის აუტსაიდერ „ლოს ანჯელესს“ 3 ქულით (!) ჩამორჩებიან.

„ვაშინგტონს“ კი აქამდე ერთადერთი მოგება ჰქონდა, ამიტომ დედაქალაქელთა მიერ „დეტროიტის“ 6:2 ძლევა სიურპრიზად უნდა მივიჩნიოთ. განსაკუთრებით „კეპიტალსის“ სლოვაკურმა ტანდემმა ივარგა. რიხარდ ზედნიკმა კარიერაში პირველი ჰეთ-თრიქი მიითვალა, თანაც სამივე შაიბა პეტერ ბონდრას დახმარებით გაიტანა.

სლოვაკი გმირი ჰყავდა კიდევ ერთ მატჩს. სენტლუისელთა მიხალ ჰანდზუსმა ნეშვილში გადამწყვეტი გოლი უმცირესობაში გაიტანა, შეხვედრის მიწურულს თავის კარი აშკარა გოლისგანაც იხსნა და „ბლუზმენებს“ ზედიზედ მეექვსე მოგება მოაპოვებინა.

სერჟ ობენის ორმა შაიბამ და მეკარე რონ ტაგნატის 45 მოგერიებამ მესამე გამარჯვება მოუტანა კოლუმბუსს. დებიუტანტმა შური იძია ლოს ანჯელესზე პირველ შეხვედრაში 1:7 დამარცხებისთვის.

სამველ ღარიბიანი

სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი

ოტავა	11	7	3	0	1	43:24	17
ტორონტო	11	6	0	0	5	26:24	12
ბუფალო	10	5	1	1	3	29:26	12
მონრეალი	11	4	2	0	5	31:33	10
ბოსტონი	12	4	1	1	6	29:40	10

ატლანტა

ნიუ ჯერსი	10	6	2	0	2	45:28	14
პიტსბურგი	10	5	1	0	4	31:33	11
აილენდერსი	9	4	2	0	3	25:23	10
ფილადელფია	11	3	3	0	5	30:39	9
რეინჯერსი	10	4	0	0	6	30:33	8

სამხრეთ-აღმოსავლეთი

კაროლინა	11	3	3	0	5	29:35	9
ვაშინგტონი	12	2	4	1	5	29:36	9
ფლორიდა	10	1	3	3	3	21:29	8
ატლანტა	9	1	5	0	3	24:28	7
ტამპა	10	2	1	1	6	31:45	6

ცენტრი

სენტ ლუისი	12	9	1	0	2	41:22	19
დეტროიტი	12	7	0	1	4	35:29	15
ნეშვილი	11	4	3	1	3	25:26	12
ჩიკაგო	11	3	0	1	7	20:34	7
კოლუმბუსი	12	3	0	1	8	22:40	7

ჩრდილო-დასავლეთი

კოლორადო	12	9	2	0	1	36:19	20
ვანკუვერი	11	6	2	1	2	40:31	15
ედმონტონი	13	6	2	0	5	37:36	14
კალგარი	12	3	1	0	8	26:35	7
მინესოტა	12	2	3	0	7	23:37	7

წყნარი ოკეანე

ფინიქსი	12	9	2	0	1	42:23	20
ანაჰაიმი	13	6	1	2	4	40:45	15
დალასი	12	6	1	1	4	33:31	14
სან ხოსე	9	6	1	0	2	25:18	13
ლოს ანჯელესი	13	5	2	0	6	46:42	12

შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ოკეანე, უდაბნო, ციმბირი

31 ოქტომბერი

ატლანტა 82:106 შარლოტი
ატლანტა: ჰენდერსონი (23), რობინსონი (21)
შარლოტი: მაშბურნი (23), დევისი (20), ვესლი (18), ბრაუნი (14 ქულა, 16 მოხსნა)

ტორონტო 95:104 დეტროიტი
ტორონტო: კარტერი (26),
დეტროიტი: სტეკჰაუზი (44), ეტკინსი (21)

ჩიკაგო 81:100 საკრამენტო
ჩიკაგო: მერსერი (19), ბრენდი (16)
საკრამენტო: ვუბერი (23), სტოიაკოვიჩი (23)

ჰიუსტონი 98:106 მინესოტა
ჰიუსტონი: მობლი (33), ტეილორი (17)
მინესოტა: გარნეტი (28 ქულა, 11 მოხსნა), ბრენდონი (22), ნესტეროვიჩი (16 ქულა, 13 მოხსნა)

სან ანტონიო 98:85 ინდიანა
სან ანტონიო: რობინსონი (22), დანკანი (16 ქულა, 10 მოხსნა)
ინდიანა: მილერი (27), ჯროშერი (17), ონილი (16 ქულა, 10 მოხსნა)

იუტა 107:94 კლიპერსი
იუტა: მელოუნი (34), რასელი (19), სტარჯსი (18), სტოკტონი (11 ქულა, 14 პასი)
კლიპერსი: მაკინისი (20)

გოლდენ სტეიტი 96:94 ფინიქსი
გოლდენ სტეიტი: მილზი (19), ფორტსონი (18 ქულა, 18 მოხსნა), ჰიუზი (17)
ფინიქსი: რობინსონი (26), კიდი (24 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა, 5 ჩაჭრა)

პორტლენდი 86:96 ლეიკერსი
პორტლენდი: ვოლესი (26), სმიტი (22)
ლეიკერსი: ონილი (36 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი, 4 დაფარება)

ვანკუვერი 94:88 სიეტლი
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (27), დიკერსონი (25)
სიეტლი: ჰეიტონი (27 ქულა, 14 მოხსნა, 10 პასი), ბეიკერი (19), ვილიამსი (18)

ნიუ იორკი 72:101 ფილადელფია
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (21)
ფილადელფია: აივერსონი (25 ქულა, 9 პასი), კუკოჩი (23)

დალასი 97:93 მილუოკი
დალასი: ფინლი (26), ნუში (20)
მილუოკი: ალენი (26)

ნიუ ჯერსი 82:86 კლივლენდი
ნიუ ჯერსი: ვილიამსი (20)
კლივლენდი: მიურეი (17), ჰარპრინგი (16)

ორლანდო 97:86 ვაშინგტონი
ორლანდო: მაკგრეიდი (32)
ვაშინგტონი: ლოპესი (16)

31 ოქტომბერს, ჩვენი დროით კი პირველ ნოემბერს, გამთენიისას სტარტი აიღო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 55-ე სეზონმა. ციებ-ცხელებაშია მთელი საკალათბურთო ამერიკა მცხუნვარე სან ანტონიოდან ნბა-ს ციმბირად წოდებულ ვანკუვერამდე, წყნაროკეანური სან ფრანცისკოდან ატლანტიკურ ბოსტონამდე. ვინ დაიდგამს ჩემპიონის გვირგვინს, ეს ივნისში გამოჩნდება, მანამდე კი წინ რვათვიანი მარათონული სეზონია. ჩვენც ამერიკელებთან ერთად დავიწყოთ.

რეგულარული ჩემპიონატის პირველ დღეს 26 გუნდი გამოვიდა ფიცარნაგზე და მათგან ზუსტად ნახევარმა მოიგო. დამარცხებულთა შორისაა ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი". „პორტლენდმა" შინ წააგო, თუმც ეს სენსაციად ბევრს არ აღუქვამს, რადგან მისი მძლეველი თვით ძლევამოსილი ჩემპიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსია". წინა სეზონში ყველაზე უფრო საინტერესოდ ამ გუნდების დაპირისპირება ითვლებოდა. გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ ამ ორი ტიტანის ჭიდილი მიმზიდველობას არც ამ სეზონში დაკარგავს. თქვენი ნებართვით, ოთხი თვით უკან დავიხოთ და დასავლეთ კონფერენციის ფინალს შევავლოთ თვალი. სერიის ბოლო შეხვედრის ბოლო მეოთხედში „პორტლენდი" თხუთმეტი ქულის სხვაობით უგებდა მომავალ ჩემპიონს და სულ რამდენიმე წუთი აშორებდა ნბა-ს ფინალს, მაგრამ „ლეიკერსის"ლიდერმა შაკილ ონილმა საშინელი ძალით გადაუქროლა პორტლენდურ დაცვას, ძირფესვიანად მოაორხა და „ბლეიზერსი" მომავალი წარმატების იმედად დატოვა.

და აი, „პორტლენდმა" კიდევ ერთხელ შეიგრძნო შაკილ ონილის მძიმე ხელის ძალა, ალბათ, არც უკანასკნელად. წინა სეზონის უპირველესი ბომბარდირი, ცხადია, ახლაც ყველაზე შედეგიანი იყო. მისგან „პორტლენდმა" საკუთარ კალათში 36 ქულა მიიღო.

აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ მასპინძლებმა ორი წამყვანი მოთამაშე — არვიდას საბონისი და სკოტი პიპენი მოისაკლისეს. პირველმა რამდენიმე კვირის წინ ფეხის ოპერაცია გაიკეთა და მწვრთნელ მაიკ დანლივის მისი იმედი თავიდანვე არ ჰქონდა, აი, სკოტი პიპენი კი შეხვედრის დაწყებისთანავე გამოაკლდა თავისიანებს, შეხვედრის მეშვიდე წუთზე მყესი დაეჭიმა და ჯერ ექიმის ხელში, შემდეგ კი მაყურებლებში აღმოჩნდა.

საბონისის არყოფნაში, რომელიც ზოგჯერ ახერხებდა ონილის ფრთების შეკვეცას, ლეიკერსელი დეკაცის გაჩერება მასპინძელთა ყველა მაღალმა სცადა, მათ შორის, ცხადია, დეილ დევისმა და შონ კემპმაც, რომელთა მისია და მათი „პორტლენდში" გადმოსვლის მიზეზი სწორედ ონილის გაუვნებლებაა, თუმც რა გამოუვიდათ, ამას სტატისტიკაც გვიჩვენებს. ონილმა ჩვეულად დაბომბა მეტოქის კალათი და დაცვაშიც სანაქებოდ გაისარჯა. შედეგად დევისმა ორი ქულით და ხუთი პერსონალურით დაასრულა შეხვედრა, კემპმა ოთხი ქულით და ამდენივე პერსონალურით.

თამაში მაინც ძირითადად თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. პირველი ნახევრის შემდეგ „ლეიკერსი" ცხრა ქულის სხვაობით იგებდა. მესამე მეოთხედში მასპინძლებმა შეძლეს ამ სხვაობის გაბათილება და ბოლო თორმეტწუთეულში საბრძოლველად განეწყვნენ, თუმც მათი ოცნება, ახალი სეზონი ძველი მოსისხლის ძლევით დაეწყოთ, ყოფილმა პორტლენდელმა აიზია რაიდერმა დასამარა. სიდნეის ოლიმპიადის ოქროსმედალოსნის, სტივ სმიტის ზუსტი სროლის შემდეგ მასპინძლები 72:71 დაწინაურდნენ და რაიდერის ჯერიც დადგა. მან ხუთ წუთში გარღვევაზე, შორი და საშუალო დისტანციებიდან დალაშქრა ყოფილი გუნდის კალათი და მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე თავისიანები 85:77 დაწინაურა, რის შემდეგაც საინტერესო აღარაფერი მომხდარა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია აიზია რაიდერი. ერთი წლის წინ იგი „პორტლენდმა" სტივ სმიტში გაუცვალა „ატლანტას", ამ გუნდმა კი წინა სეზონის შუაგულში გამოაგდო უღირსი ქცევისა და საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულებისათვის. იგი „ლეიკერსმა" შეიფარა და ლამის „მათხოვრული" ხელფასი დაუნიშნა — წელიწადში შვიდასი ათასი. „ძველი ბიჭობით" სახელგანთქმული რაიდერი ანაზღაურებით კმაყოფილი ვერ იქნება, თუმც ჯერჯერობით არაფერს იმჩნევს. აი, ამ თამაშში კი მან ჩვეულად ივაჯღანა, „პორტლენდში" ყოფილ თანაგუნდელს ბონზი ველსს რაღაცაზე შარი მოსდო და საქმის გარჩევაც დაუწყო. რაიდერი მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, როცა მსაჯისგან ტექნიკური მიიღო.

ჩრდილში მოექცა „ლეიკერსის" მეორე ლიდერი კობი ბრაიანტი. კობი სულ 14 ქულას დასჯერდა და ბურთი შვიდჯერაც დაკარგა, თუმც მისმა ულიმღამო გარჯამ გუნდის თამაშის ხარისხზე ნაკლები გავლენა იქონია.

ახალ სეზონს საუკეთესო ფორმაში ვერ შეხვდა „სან ანტონიოს" ლიდერი ტიმ დანკანი, ყოველ შემთხვევაში, „ინდიანასთან" შეხვედრაში ასე ჩანდა, თუმც მისმა არცთუ ნაყოფიერმა თამაშმა ხელი ვერ შეუშალა 1999 წლის ჩემპიონებს, დაემარცხებინათ 2000 წლის ვიცე-ჩემპიონები. წლეულს „ინდიანა" სულ სხვა გუნდია. მწვრთნელი ლარი ბერი კიდევ ერთმა ლეგენდარულმა კალათბურთელმა, აიაზია ტომასმა შეცვალა, მიმოიფანტა „ინდიანას" სასტარტო ხუთეული. „პეისერზს" რევჯი მილერი და ჯალენ როუზიღა შემორჩნენ, თან ეს უკანასკნელი ტრავმას იშუშებს. გვარიანად მობერებულმა მილერმაც მეტოქეს 27 ქულა ჩაუგდო და ახალგაზრდა ჯერმენ ონილისგან მხარდაჭერაც მიიღო, თუმც ეს ექსჩემპიონთა დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. „უპირველეს ფავორიტად „სან ანტონიო" მიმაჩნია. მასთან ბრძოლა არავისთვის არაა იოლი და მათ შორის არც ჩვენთვის. ცხადია, გვერჩივნა სეზონი გამარჯვებით დაგვეწყო და აქ სწორედ ამისთვის ჩამოვედით, მაგრამ ძალა აღარ გვეყო. არა უშავს, მოსაგები წინ გველის" — „პეისერზის" ახალი თავკაცი აიზია ტომასი, მარცხიანი დებიუტის მიუხედავად, იმედიანადაა განწყობილი.

დამარცხდა ყველა გუნდი, რომლის მაისურაც ნბა-ში მოხვედრილ პირველ ქართველს, ამჟამად უგუნდოდ მყოფ ვლადიმერ სტეფანიას სცმია. ჩვენებურის მიმართ ჩადენილმა ცოდვებმა უწია „სიეტლს", „ნიუ იორკს" და „ტორონტოს". მათგან ყველაზე სამარცხვინოდ „ნიუ იორკმა" დატოვა პირველი ბრძოლის ველი. „ნიქსი" შინაურ „მედისონ სკვერ გარდენში" დახვდა ალენ აივერსონის „ფილადელფიას" და ოცი ათასი ერთგული ქომაგის თვალწინ თავი მოეჭრა. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში „ნიუ იორკი" პატრიკ იუინგის გარეშე პირველად შეეგება სეზონს და მაშინვე 29 ქულით წააგო შინაური შეხვედრა. ორი საათის განმავლობაში გუგუნებდა გადაჭედილი „მედისონ სკვერი" და ოცდათასი კაცი ორი საათის განმავლობაში გაჰყვიროდა თავიანთი კერპის, იუინგის სახელს. ნიუიორკელი ლატრელ სპრიუელი გაოცებული იყო, რომ ოცდათი ქულა წააგეს და ხალხი რაიმე უარესს არ ამბობდა. თავად სპრიუელმა ცუდად ითამაშა, ცხრა სროლიდან მხოლოდ ერთი ჩააგდო. იგივე ითქმის „ნიქსში" იუინგის ნაცვლად მისულ გლენ რაისზეც, რომელიც სულ ცხრა ქულით შემოიფარგლა. სამაგიეროდ, ზუსტად ისროდა ფილადელფიელი ტონი კუკოჩი, მან თამაშში თორმეტი სროლიდან ათს მეტოქის კალათში მიუჩინა ადგილი და 23 ქულა დააგროვა. ბრწყინავდა მისი თანაგუნდელი ალენ აივერსონი, რომელიც თანაგუნდელებზეც ზრუნავდა და მარტო თამაშისთვის ადრე არაერთხელ გაკრიტიკებულმა ცხრა პასიც მიითვალა.

შინ დამარცხდა „ტორონტოც". მას მოულოდნელად „დეტროიტმა" სძლია. „დეტროიტმაც" დაკარგა ლიდერი გრანტ ჰილი, მაგრამ არა ბრძოლისუნარიანობა. ახალგამომცხვარმა ლიდერმა ჯერი სტეკჰაუზმა „ტორონტოს" 44 ქულა „მიართვა", რითაც პირადი კარიერის რეკორდი ოთხი ქულით გაიუმჯობესა. მისი და ახალწვეული ჩაკი ეტკინსის წყალობით, ამ სეზონში აუტსაიდერად მიჩნეულმა „პისტონზმა" პირველივე შეხვედრაში გახსნა მოგებათა ნუსხა. „ტორონტოში" საუკეთესო, ცხადია, ვინს კარტერი იყო, თუმც მისმა 26-მა ქულამ მასპინძლები მარცხს ვერ აარიდა.

„ნიუ იორკს" აღარა ჰყავს პატრიკ იუინგი და აგებს, იგი ახლა „სიეტლშია", მაგრამ ისიც აგებს, თანაც „ვანკუვერთან". ეს ნამდვილად არ იყო ბებერი პატრიკის დღე. იუინგმა ახალ გუნდს პირველ თამაშში სულ ორი ქულა მოუტანა. მისი უხეირო გარჯა კი შეგვიძლია „სიეტლის" მარცხის უმთავრეს მიზეზად მივიჩნიოთ. „სუპერსონიქსის" სული და გული გერი პეიტონი მშვენიერ ფორმაშია და მან სამმაგი დუბლიც გააჯერხა, მაგრამ ლიგის უძლიერესი გამთამაშებლის თავგამოდება ბებერმა იუინგმა წყალში ჩაყარა.

სამმაგი დუბლი ნბა-ში არცთუ ხშირია. მისი გაკეთება ყველას არ ხელეწიფება, მაგრამ ეს გამარჯვების გარანტია რომ არ არის, კიდევ ერთ თამაშშიც გამოჩნდა. პეიტონსა და „ფინიქსელ" ჯეისონ კიდს დიდი დავა აქვთ ერთმანეთში იმის გასარკვევად, ვინაა ლიგის საუკეთესო გამთამაშებელი. 31 ოქტომბერს პეიტონს არც კიდი ჩამორრა და თავის მხრივ მანაც გააკეთა სამმაგი დუბლი, ის კი არა, ამას ხუთი ჩაჭრაც დაურთო და კიდევ ერთი ამდენი რომ გაეხერხებინა, უიშვიათეს ოთხმაგ დუბლსაც გამოჰკრავდა ხელს (ასეთი რამ ლიგის ისტორიაში სულ ოთხ კალათბურთელს მოეპოვებინა). მაგრამ ყოველივე ამას მიუხედავად, კიდმა და მისმა „ფინიქსმა" „გოლდენ სტეიტთან" წააგეს. ივარგა ამ უკანასკნელის სათადარიგომ კრის მილზმა, რომელმაც საფინალო სირენამდე ხუთი წამით ადრე სამიანი ჩააგდო და თავისიანებს ორი ქულით მოაგებინა.

„ორლანდოს" ჰყავს გრანტ ჰილი, მაგრამ მას ფეხი აწუხებს და მთელი ძალით ვერ იხარჯება. „ვაშინგტონთან" ჰილს ურიგოდ არ უთამაშია, ათი პასიც გაკეთა, მაგრამ ლიგის საუკეთესო ფრთა ყმაწვილმა ტრეისი მაკგრეიდმ დაჩრდილა. მაკგრეიდმ ნამდვილად გაუმართლა „ორლანდოს" მამებს, პირველივე თამაშში 32 ქულას მოუყარა თავი. ურიგო შედეგი არაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მას კარიერაში ამდენი არასდროს ჩაუგდია.

ირაკლი ფირაზვილი



REUTERS ორლანდოდან

ორლანდო — ვაშინგტონი. ორლანდოელმა ტრეისი მაკგრეიდმ (თეთრ ფორმაში) კარიერაში სარეკორდო, 32 ქულა გაიკეთა

ვანკუვერი — სიეტლი. „ნიუ იორკიდან" „სიეტლში" გადასულმა პატრიკ იუინგმა ორი ქულა იკმარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს III ტურის საუკეთესო მოთამაშე

ჩემპიონატი

ზვიად ბაბიაშვილი — აზოტი

რუსთავის „აზოტმა“ „ვითას“ წინააღმდეგ ერთბაშად სამი წამყვანი მოთამაშე — რამაზ გოგობერიშვილი, მამუკა ტურაშვილი და ნუგზარ კოკოლიშვილი მოისაკლისა. ამის მიუხედავად, რუსთაველებს მაინც არ უნდა გასჭირვებოდათ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის დამარცხება — იგი ხომ ძველის აჩრდილიდაა და მისი კალათბურთელებიდან ყველაზე უფროსი მხოლოდ და მხოლოდ ცხრამეტი წლისაა. თუმცა პირტიტველა ვითელებმა პროგნოზები არად ჩააგდეს და ფავორიტებს პირველ მეოთხედში სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს. სწორედ ზვიად ბაბიაშვილის დამსახურებაა, რომ „აზოტი“ მდევრის როლში არ აღმოჩნდა და მცირე შესვენებაზე ორქულიანი უპირატესობით — 22:20 წავიდა. მასპინძლები მაინც არ ცხრებოდნენ. „ვითამ“ განსაკუთრებული მონდომებით გაიბრძოლა შესვენების შემდეგ, მესამე მეოთხედში და 9-ქულიანი სხვაობა ორამდე შეამცირა. ცოტაც და მასპინძლები ანგარიშს გაათანაბრებდნენ, იქნებ წინაც გასულიყვნენ, მაგრამ შეუჩერებელი იყო აზოტელი ზვიად ბაბიაშვილი. მან ფარს არავინ გააკარა, ბურთი ბურთზე მოათავსა მეტოქის კალათში და მოხსნებსა და დაფარებაშიც საუკეთესო იყო. მასთან ჭიდილში უდავოდ დამარცხდა ვითელთა და საქართველოს კადეტთა ნაკრების ფორვარდ-ცენტრი გიორგი მდივანი, რომელმაც პირველ ტურში თსუ-თან შეხვედრის დროს მიმდინარე ჩემპიონატში ჯერჯერობით ყველაზე მეტი, 41 ქულა გაიკეთა, ბაბიაშვილთან ბრძოლაში კი ოხოლოდ 8 ქულით შეეწია თანაგუნდელებს.

ზვიად ბაბიაშვილი პირველად თსუ-ში გამოჩნდა, შემდეგ ცოტა ხანი „დინამოში“ ითამაშა და ამჟამად ზედიზედ მესამე სეზონს ატარებს რუსთავის „აზოტში“. ორმეტრიანი ფორვარდი ფიზიკური გამძლეობით გამოირჩევა, კარგი ნახტომი აქვს და ბურთს კალათში იოლად ტენის, თანაბარი სიძლიერით თამაშობს როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ხელით. იშვიათად ეყრის სამქულიანებს და კარგი ფიზიკური მონაცემების წყალობით ძირითადად ფარის სიახლოვეს მოქმედებს.

წლეულს ბაბიაშვილი უკრაინის ჩემპიონ „ბკ კიევში“ გასინჯვაზე იმყოფებოდა და თითქმის მთელი ზაფხული კიევში გაატარა, უკრაინელებს რამდენიმე შეკრებაზეც ახლდა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც საქართველოში დარჩა. „ბკ კიევის“ წარმომადგენლები კვლავაც აკვირდებიან ქართველ მოთამაშეს და გამორიცხული არაა, რომ გაისად მისი სახით ქართულ კალათბურთს კიდევ ერთი ლეგიონერი შეემატოს.

სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. III ტური. 1 ნოემბერი

A ჯგუფი

სალიტი 77:73 ალბა

B ჯგუფი

სკავოლინი 90:70 ირაკლისი

ეფესი 97:88 ბაიერი

REUTERS სპლიტიდან

სპლიტი — ალბა. სტუმარი დერიკ ფელპსი ალან გრეგოვსა და როს ლენდს (№14) შორის

ვროკლათა

თურქეთის ნაკრების და სტამბოლის „გალათასარაის“ უკანახაზელმა ორჰუნ ენემ კალათბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. ადრინდელი განცხადებით, იგი კიდევ ორ წელიწადს აპირებდა თამაშს, მაგრამ ახლა აზრი შეიცვალა. 33 წლის ენემ, რომელიც სამი სეზონი გალათასარაელია და ადრე „ულქერში“ თამაშობდა, აღნიშნა: „გადაწყვეტილება უცბად მივიღე. მივხვდი, რომ თამაში ძველებურად აღარ მსიამოვნებდა, თანაც წასვლა კარგ სპორტულ ფორმაში მყოფს მსურს. „გალათასარაისთან“ პრობლემები არ მაქვს“.

„გალათასარაის“ ცუდი დროება დაუდგა. წინა კვირაში გუნდი კორაჩის თასიდან გამოაგდო ბოსნიის „სლობოდა დიტამ“. თურქეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში კი „ანტბირლიკმა“ დაამარცხა. ახლა ენეც წავიდა.

* * *

იუგოსლავიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ბელგრადის „პარტიზანი“ სუპროლიგის მეორე ტურში სალონიკის „ირაკლისთან“ დამარცხდა. კლუბის დირექტორთა საბჭომ ამ ამბავში მწვრთნელი ნენად ტრაიკოვიჩი დაადანაშაულა და თანამდებობიდანაც გაათავისუფლა. „პარტიზანს“ ახალი მწვრთნელი მალე დაუნიშნეს — ტრაიკოვიჩის ადგილი ბელგრადის „ბეობანკას“ ყოფილმა დამრიგებელმა დარკო რუსომ დაიკავა. ეს სპეციალისტი იუგოსლავიის ნაკრებში მთავარი მწვრთნელის ჟელკო ობრადოვიჩის თანაშემწეა.

„პარტიზანის“ გაწვრთნა ჩემი ოცნება იყო. კარგად ვიცი ამ გუნდის ამბიციები და შესაძლებლობები. თუკი კარგად მოვემზადებით, „ბუდუჩნოსტს“ იუგოსლავიის ჩემპიონის ტიტულს ჩამოვართმევთ“ — განაცხადა რუსომ პირველი ვარჯიშის წინ. ახალ მწვრთნელს დებიუტი ჩაუმწარდა — ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „პარტიზანი“ ლესკოვაცში დამარცხდა ადგილობრივ „ზდრავლიეესთან“.

* * *

საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ ნიკოს სტავროპულოსი დაინიშნა. ადრე ამ თანამდებობაზე ელიას ზუროსი მუშაობდა, მაგრამ მან ზაფხულში პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ ჩაიბარა და ნაკრები მიატოვა. სტავროპულოსი ევროპის 1987 წლის ჩემპიონია, ნაკრებში სამუშაოდ კი მთავარი მწვრთნელის კოსტას პეტროპულოსის და ტექნიკური დირექტორის იანის იოანიდისის რეკომენდაციით მივიდა. აღსანიშნავია, რომ სტავროპულოსი 1996-1997 წლებშიც ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე იყო. მაშინ ბერძნებს პანაიოტის იანაკისი თავკაცობდათ.

* * *

თურქეთის „ქარშიაქას“ საპორტას თასზე ფრანგულ „შალონთან“ მარცხი ძვირად დაუფასეს გუნდის მწვრთნელ ოსმან სავრანს. კლუბმა იგი მატჩის შემდეგვე დაითხოვა. „ქარშიაქა“ კი ბურსას „თოფაშის“ ყოფილმა მწვრთნელმა მეთე ბაბაოღლუმ ჩაიბარა.

საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. III ტური. 31 ოქტომბერი

A ჯგუფი

ჰაპოელი (ისრაელი) — ბამესა (ესპანეთი) 94:97, ქარშიაქა (თურქეთი) — შალონი (საფრანგეთი) 66:78, პივოვარნა (სლოვენია) — მარუსი (საბერძნეთი) 77:93

მარუსი	3	3	0	274:247	6
შალონი	3	3	0	229:210	6
ბამესა	3	1	2	249:255	4
ქარშიაქა	3	1	2	241:253	4
პივოვარნა	3	1	2	238:256	4
ჰაპოელი	3	0	3	244:254	3

B ჯგუფი

ბეშიქთაში (თურქეთი) — პორტუ (პორტუგალია) 57:74, ზაგრები (ხორვატია) — არისი (საბერძნეთი) 0:20, უნიქსი (რუსეთი) — არკადია (ავსტრია) გაიმართება 2 ნოემბერს.

პორტუ	3	3	0	182:138	6
არისი	3	3	0	196:160	6
ბეშიქთაში	3	1	2	229:259	4
უნიქსი	2	1	1	93:75	3
არკადია	2	0	2	165:173	2
ზაგრები	3	0	3	0:60	0

C ჯგუფი

რასინგი (საფრანგეთი) — კერავნოსი (კვიპროსი) 69:82, საკალაი (ლიტვა) — ტელეკომი (გერმანია) 89:102, კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) წუხელ გაიმართა

ტელეკომი	3	2	1	283:265	5
კერავნოსი	3	2	1	253:240	5
რასინგი	3	1	2	232:245	4
საკალაი	3	1	2	248:259	4
სან ფერნანდო	2	1	1	178:181	3
ცრვენა ზვეზდა	2	1	1	173:177	3

D ჯგუფი

ანვილი (პოლონეთი) — ანტვერპენი (ბელგია) 90:84, ბორაცი (ბოსნია) — ლუპტა (ფინეთი) 11:69, სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — იმოლა (იტალია) 86:80

ანვილი	3	3	0	253:240	6
სლოვაკოფარმა	3	2	1	261:232	5
ანტვერპენი	3	2	1	265:245	5
ბორაცი	3	1	2	278:258	4
იმოლა	3	1	2	256:244	4
ლუპტა	3	0	3	224:318	3

ნუ მეტყვით, ჰაკიმ, შე ბებერო

ახალ სეზონს ჰიუსტონელები კარგ ხასიათზე შეეგებნენ, სამისო მიზეზიც აქვთ. ჰაკიმ ოლაჯუონი, რომელიც შორეული 1984 წლიდან „ჰიუსტონის“ უცვლელი ლიდერია, ჯანმრთელი და ოპტიმიზმით აღსავსეა. ის კი არა, 37 წლის ვეტერანმა შესაძლოა გადაიფიქროს ამ სეზონის შემდეგ კალათბურთიდან წასვლა. ვნახოთ, იქნებ არც წავიდეო, ამბობს იგი. „სანამ საწვრთნელ ბანაკში მოვიდოდი, გაურკვეველ სიტუაციაში ვიყავი. არ ვიცოდი, საერთოდ თუ ვითამაშებდი ამ სეზონში, მაგრამ ექიმებმა დამარწმუნეს, რომ სრულიად ჯანმრთელი ვარ და იცით, ეს ჩემთვის რამდენს ნიშნავს? ბოლო წლებია, ტრავმებმა ბოლო მომიღო, მაგრამ ახლა, საბედნიეროდ, თავს კარგად ვგრძნობ და მზად ვარ, მოედანზე გავიდე. მე არ ვამბობ, რომ ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა, მაგრამ თუ არაფერმა შემაწუხა, მომდევნო სეზონშიც სიამოვნებით ვითამაშებ „ჰიუსტონში“. თუ „ჰიუსტონის“ აღარ დავჭირდი, სხვაგან გადავალ“. ერთი სიტყვით, ლიგის ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ცენტრმა მტკივანი მუხლები მოირჩინა, ასთმაც დაამარცხა და ახლა თავს ათი წლით ახალგაზრდად გრძნობს.

ოლაჯუონს „ჰიუსტონთან“ კონტრაქტი ამ სეზონის ბოლომდე აკავშირებს. იგი თავის მეჩვიდმეტე სეზონში 17 მილიონ დოლარს ჩაიკიბავს და მერე იქნებ სხვა გუნდში გადასვლაზეც დაფიქრდეს, თუმც ჰაკიმი სხვა გუნდის მაისურით ცოტა ძნელი წარმოსადგენია. მან „რაკეტებს“ ზედიზედ ორჯერ — 1994 და 1995 წლებში ჩემპიონობა მოაპოვებინა. კლუბი, ალბათ, უმადურობას არ გამოიჩენს და ოლაჯუონს დაიტოვებს, მანამ, სანამ იგი კალათბურთს ითამაშებს. ისე სავსებით შესაძლებელია, ჰაკიმმა თავისი ბებერი სხეულის რომელიმე ნაწილი კვლავაც დაიშავოს. თუმც 1993-94 წლების სეზონის უძვირფასესი მოთამაშე ახლა ამაზე არ ფიქრობს და ამბობს: „თავს ახალ კაცად ვგრძნობ და იქამდე ვთამაშებ, სანამ ბურთის ხელში დაჭერა შემეძლება. არ მინდა, ქარიმივით (აბდულ-ჯაბარი) სკამზე ვიჯდე ბოლო წელს, მე სულ სხვა ხასიათი მაქვს. ჯერ კიდევ შეშიძლია და მინდა კალათბურთის თამაში. როცა შევატყობ, რომ აღარ ვვარგივარ, დაგეშვიდობებით და კარს გავიხურავ“.



ჰაკიმ ოლაჯუონი

REUTERS ლონდონიდან

ფიქრნი ზამთრის პირს

ახლა, მე რას ვფიქრობ, იცით: იმას კი არა, მარჯვენა კაცი, დევიდ ბექემი დიდებული ფეხბურთელი რომაა... იმას კი არა, მარცხენა, მაიკლ პარკინსონი ცნობილი ტელეწამყვანი რომაა... იმას კი არა, ნეტავ როგორი ინტერვიუ ჩამოართვა პარკინსონმა ბექემს... იმას კი არა, ერთს ან მეორეს რამდენი აქვს ხელფასი... იმას, რომ არც ერთს ეთიშება სახლში შუქი და არც მეორეს.

დარაჯის დუმილი

მუ, როგორ ეხიზღება მონაკოს ძალიან დიდი დარბაზის დარაჯს მდიდარი ძიები და დეიდები. მორჩება ერთი დაჯილდოება, იფიქრებს, ახლა კარს დავკეტავ და დავიძინებ, რომ ახალი ლიმუზინები მიადგება და ყველაფერი თავიდან იწყება:

— მთავარი პრიზი გადაეცემა...

იმ დღეს ის ჩვენი დარაჯი სულ მთლად ჭკუაზე გადაცდა. თავს ზვავივით დაატყდა ახალი ცერემონიალი: „ევროსპორტის“ ჯილდოს, „სპორტსტარის“ გადაცემა, თუმცა აი, ამ მოხუცზე, ხუან ანტონიო სამარანჩზე ზედმეტი სიტყვაც ვერ დაძრა. კაცს, რომელმაც ოლიმპიურ მოძრაობას მთელი ცხოვრება მიუძღვნა, დაფასება ეკუთვნის.

REUTERS მონაკოდან

კუში, კუშნახევარი

ქართველ ხელზე მონიძლავეთათვის ნაცნობი ეს სიტყვა ინდოეთში, ალბათ, სხვანაირად გამოითქმის, მაგრამ ამ ფოტოზე რაც ხდება, უმალ მიხვდებით. მარცხენა, ჭრელხალათიანი კაცი პოლიციელია. პოლიციელია მარჯვენა განაპირაც, შუაში კი ისინი სხედან, კარგი კუშის გამო მოკრიკეტეებს (მაგალითად, ვესტინდოელ ბრაიან ლარასა და ინგლისელ ალეკ სტიუარტს) რომ გაურიგდნენ და თამაში სხვათა გასაყვლეფი ანგარიშით დაამთავრებინეს.

REUTERS ინდოეთიდან

REUTERS ყარაჩიდან

დაქოქე

რაღა დაგიმალოთ და კრიკეტისა არაფერი გამეგება, არც მომწონს, მაგრამ კარგად ვიცი, რომ პაკისტანელი საქლაის მუშტაკი (მარცხნივ) ინგლისთან ერთდღიან თამაშში მოგებისა და მატჩის გმირობისთვის მიღებული აი, ამ დიდი გასაღების პატარა ვარიანტს ზედ მოყოლილი მანქანის კარში შეარჭობს და ბღღ..ბღღღ...

დაჯილდოებით კი ქვეყნის სამხედრო მმართველი, გენერალი პერვას მუშარაფი აჯილდოებს.



კომიკოსი და რეჟისორი

ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ NBA-ს მორიგი სეზონი „ნიუ იორკ ნიქსისა“ და „ფილადელფიის“ თამაშით გაიხსნა, ხოლო თამაშს წინ უძღოდა შოუ, რომელშიც კომიკოსი კრის როკიც მონაწილეობდა. ოღონდ, თქვენი ჭირიმე, რადგან როკი კომიკოსია, მარჯვნივ რომ ჯამბაზივით ჩაცმული კაცი დგას, ის არ გეგონოთ. ეს რეჟისორი სპაიკ ლი გახლავთ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძეშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დეკაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge